ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა **არაბისტიკა**

ხოფერია ხატია

კოპტური ეკლესია და კოპტების მდგომარეობა მუსლიმთა მმართველობის დროს მამლუქთა პერიოდის ჩათვლით

ნაშრომი შესრულებულია არაბისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი მარიამ ნანობაშვილი,

ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

BA Program in Arabic Studies

Khoperia Khatia

Coptic Church and the Condition of the Copts Under Islamic Rule, including the Mamluk Period

The work is compiled to obtain the MA degree in Arabic Studies

The supervisor Mariam Nanobashvili

PhD, TSU Associate Professor

Tbilisi 2019

სარჩევი

ანოტაცია 4

ანოტაცია ინგლისურად 5

შესავალი 6

თავი I. კოპტური ეკლესია და კოპტების სტატუსი

არაბთა დაპყრობის ადრეულ ეტაპზე 8

თავი II. კოპტების კულტურული ცხოვრება

ეგვიპტის ისლამიზაციის პერიოდში 20

თავი III. კოპტები საზოგადო

ცხოვრების ასპარეზზე 32

დასკვნა 47

გამოყენებული ლიტერატურა 48

ანოტაცია

ქრისტიანობა ეგვიპტეში მრავალი თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას. ეგვიპტე ერთ–ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა მდიდარი სამწერლო ტრადიციებით. კოპტური ენა მუსლიმთა მმართველობის ხანაში ჩაანაცვლა არაბულმა, რამაც ასევე დასაბამი მისცა კოპტების ქრისტიანულ არაბულ მწერლობას. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ ეგვიპტის ტერიტორიაზე მძლავრი იყო რგორც მონოფიზიტური ეკლესია, ისე დიოფიზიტური, კერძოდ, ალექსანდრიის საპატრიარქო თავისი ცნობილი თეოლოგიური სკოლით. ამას დაერთო ისლამის გავლენა, რამაც ეგვიპტეში მეტად სპეციფიკური და საინტერესო ვითარება შექმნა. ნაშრომში გაანალიზებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: კოპტური მონოფიზიტური ეკლესიის ჩამოყალიბება და დისპუტი დიოფიზიტებთან; არაბთა დაპყრობები და ისლამის გავრცელება ეგვიპტეში; ფატიმიანთა და მამლუქთა პერიოდის კოპტების მდგომარეობა; კოპტების წვლილი ეგვიპტური კულტურის განვითარებაში.

Annotation

Christianity in Egypt deserves interest from many points of view. Egypt is one of the oldest Christian countries with rich literary traditions. During Islamic rule Coptic was replaced by Arabic, which led to the rise of the Arabic-Christian literature of the Copts. In addition, it is interesting that in Egypt both churches, Monophysite and Diophysite, were powerful, the latter was represented by the Alexandrian Patriarchate with its famous theological school. This was followed by Islamic influence, which created a very interesting and specific situation in Egypt. This paper discusses the following issues: the founding of the Coptic Monophysite church and the dispute with the Diophysites; the Arab conquest and spread of Islam in Egypt; the state of the Copts during the Fatimid and Mamluk period; the contribution of the Copts to Egyptian culture.

შესავალი

ეგვიპტე არის ქვეყნა, რომელიც უძველესი დროიდან დასახლებული იყო სხვადასხვა ტომით, მათ შორის კოპტებით. სიტყვა „ეგვიპტე“ ძველი ებრაული სიტყვაა და მომდინარეობს „მისრაიმ იბნ ჰამ იბნ ნუჰი“-დან, რომელიც თავის ოჯახთან ერთად მოვიდა და დაფუძნდა ნილოსის ნაპირას. ეგვიპტეს (მისრს) ეს სახელი ბერძნებმა შეარქვეს (იჯიბთუს), რომლებმაც დაიპყრეს ეგვიპტე ალექსანდრე მაკედონელის, იგივე ალექსანდრე დიდის მეთაურობით. ზოგიერთი ისტორიკისოს კვლევების თანახმად, სიტყვა „იჯიბთუს“ შედგება ორი სიტყვისგან. ესენია „ი“, რაც ნიშნავს მიწას, ან სახლს, და „ჯიბთუს“ – იგივე ,,კიფტ“ ან ,,ჯიფტ“, რაც მთლიანობაში ნიშნავს კოპტის მიწას ან კოპტის სახლს [რუვილა 1898 : 3].

ტერმინი „კოპტი“ მომდინარეობს კიფტაიმიდან, რომელიც იყო მისრაიმის ერთ-ერთი შვილი, რომელმაც ააშენა ქალაქი ზემო ეგვიპტეში და უწოდა მას საკუთარი სახელი [რუვილა 1998 : 3]. მეორე ვერსიით, სიტყვა „იჯიბთ“ არის ძველი ეგვიპტური ტერმინი, hikiptah, რომელიც ასევე შედგება ორი სიტყვისგან: hiki, რაც ნიშნავს მიწას, და მეორე სიტყვა არის ptah, რაც არის უდიდესი ღვთაების სახელი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ძველი ეგვიპტელები, და მისი სახელი ითარგმნება, როგორც შემოქმედი [რუვილა 1998 : 4]. მამლუქთა პერიოდის ეგვიპტელი ისტორიკოსი ალ-მაკრიზი გადმოგვცემს, რომ მისრიუმი დასახლდა ეგვიპტეში თავის შვილებთან

ერთად. მან თავის შვილებს თანაბრად გაუყო ეს ტერიოტორია, ხოლო ის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა ასუანის ზემოთ ჰერმოპოლისამდე, ერგო კიფტაიმს, რომელმაც ქალაქს უწოდა საკუთარი სახელი [რუვილა 1998 : 5]. მოგვიანო პერიოდის ისტორიკოსები კი გადმოგვცემენ, რომ, სანამ ნილოსის სანაპირო გაერთიანდებოდა ერთი ერის საცხოვრებელ ადგილად, მასში ცხოვრობდა არაერთი ტომი და მათ შორის ყველაზე დიდი და ცნობილი იყო კიფტის ტომი. ალ-მაკრიზი განმარტავს, რომ ყველა ეს ტომი მოიხსენიებოდა, როგორც ,,მისრიელი", რადგან თითოეული ტომის სახელი წარმოდგებოდა მისრიუმის შვილების სახელიდან. ასევე იყო კიფტის ტომიც, აქედან გამომდინარე, უძველესი დროიდან კოპტი გულისხმობდა ,,მისრიელსაც", ხოლო ,,მისრიელი" კოპტსაც. მხოლოდ ილსამის გავრცელების შემდეგ, როდესაც მოსახლეობა დაიყო ქრისტიანებად და მუსლიმებად, ტერმინი კოპტი გულისხმობდა ეგვიპტელ ქრისტიანს [რუვილა 1998 : 5-6]. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოპტები ეგვიპტის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენენ, რომლებმაც ქვეყნის განვითარების, არაერთი დამპრყობლის შემოსევისა თუ უცხო ცივილიზაციების გავრცელების კვალდაკვალ მრავალი კულტურული, სოციალური, რელიგიური ცვლილება განიცადეს. ჩვენ შევეცდებით ამ მოვლენათა განხილვას.

თავი I. კოპტური ეკლესია და კოპტების სტატუსი არაბთა დაპყრობის ადრეულ ეტაპზე

639 წელს, როდესაც არაბი გენერალი ‘ამრ იბნ ალ-‘ასი შევიდა აღმოსავლეთ დელტაში, ეგვიპტე იყო მწვავე რელიგიური კონფლიქტების ასპარეზი, რაც გამოიხატებოდა იმ დაპირისპირებაში, რომელიც მიმდინარეობდა ალექსანდრიის პატრიარქ კიროსს (არაბულად ელ–მუკავკა), რომელიც ეგვიპტელი ქრისტიანების მჩაგვრელად ითვლებოდა, მელქიტებსა და კოპტების პატრიარქ ბენიამინს შორის. გადმოცემის მიხედვით, იქ 200 000 ტრადიციული პრინციპების ერთგული ქრისტიანი და დაახლოებით 2 000 000 კოპტი ცხოვრობდა, რომლებიც წარმოადგენდნენ ფართოდ გავრცელებული ეროვნული მოძრაობის ბირთვს, რომელიც შორს

განთავსებული, კონსტანტინოპოლში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. გენერალ ‘ამრს არ გამოჰპარვია ის ფაქტი, რომ იქ თავს იყრიდა ერთმანეთთან დაპირისპირებული ფრაქციები. არაბული სიტყვა რუმი (ბიზანტია) მიიღეს იმისთვის, რომ მოეხდინათ მელქიტების იდენტიფიკაცია, რადგან ეგვიპტეს იმ პერიოდში მოიხსენიებდნენ, როგორც დარ ელ–კიბტს (კოპტების სახლი) [ქამილი 2002 : 222].

ის, რასაც ეგვიპტურ პოსტ-დაპყრობილ კოპტურ კულტურად აღიქვამენ, იყო მონოფიზიტური (ან არაქალკედონიტური) ეკლესია კოპტურ ეკლესიასთან ერთად, რომელშიც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი წეს-ჩვეულებებიც და რომელიც ეძებდა ახალ იდენტობასა და ლეგიტიმაციას. იდენტობისთვისა და ლეგიტიმაციისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ეკლესიის წარმომავლობის საკითხს. როდესაც ‘ამრ იბნ ალ–‘ასმა ეგვიპტე დაიპყრო, მონოფიზიტური ეკლესია არასტაბილურ პოზიციაში იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოწინააღმდეგეები, ქალკედონიტები, წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ოფიციალურ ეკლესიას და დახმარებას იღებდნენ იმპერიისაგან, მონოფიზიტები მაინც ინარჩუნებდნენ პარალელურ საეკლესიო იერარქიას ალექსანდრიაში. ზოგადი სურათი კი ასეთი იყო: ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული პატრიარქი ერთსა და იმავე დროში და პარალელური ქსელი სამღვდელებისა, რომელიც მთელ ტერიტორიას ფარავდა. მიუხედავად იმისა, რომ არაქალკედონიტური იერარქია გარიყული იყო საეპისკოპოსო ქალაქებიდან, მათი ადგილობრივი და რეგიონული კავშირები მაინც საკმაოდ მყარი იყო, განსაკუთრებით კი მეზობელ სირიასთან [იმელი 2000 : 287-294]. პიტერ ბრაუნი ამბობს, რომ იუსტინიანელების დროისგან განსხვავებით, ვერც ერთი ჯგუფი ვერ იყენებდა სახელმწიფო ძალას, რათა დაედუმებინა მოწინააღმდეგე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხარეებს ეს არ უცდიათ. 760 წელს ქალკედონიტები და მონოფიზიტები ერთმანეთის საწინააღმდეგო პეტიციებს წარადგენდნენ მუსლიმი მმართველების წინაშე. ამავდროულად დაპყრობამ გააძლიერა საეკლესიო ძალები ქრისტიანულ სოციუმებში. ეკლესიამ მიიღო მომრიგებლის ფუნქცია და ითავსებდა ქრისტიანებსა და მმართველ მუსლიმებს შორის შუამავლის სტატუსს. არამუსლიმები („წიგნის ხალხი“) იძულებულნი იყვნენ, მუსლიმების მსგავსად, დამორჩილებოდნენ მუსლიმურ კანონებს [პაპაკონსტანტინუ 2006 : 4-5]. იმისათვის, რომ კოპტურ ეკლესიას მოეპოვებინა საკუთარი უნიკალური ხაზი, მას სჭირდებოდა რამდენიმე პუნქტის დაცვა. მას უნდა დაედასტურებინა კავშირი თავის ყველაზე ადრეულ ადგილობრივ პერსონაჟთან, რათა დაედასტურებინა საკუთარი ტერიტორიული და ეთნიკური მოთხოვნები. სრული პოლიტიკური და გონებრივი გარდატეხა

მოჰყვა კონსტანტინოპოლის იმპერიული ეკლესიის მიერ წამოჭრილ საკითხს, რომელსაც უნდა დაედასტურებინა წრსულის ეკლესიიდან მომდინარე ტრადიციის ინსტიტუციური გაგრძელება. მას სჭირდებოდა რელიგიური ლეგიტიმაცია, რათა გენესხვავებინა საკუთარი თავი სხვა ეკლესიებისაგან და დაედასტურებინა საკუთარი განგრძობადი იდენტურობა დროის სვლაში. უწყვეტობის ისტორია, რომელიც კოპტურმა ეკლესიამ შემოგვთავაზა, იყო ყველაზე აშკარა ასპექტი ამ მცდელობისა. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების უმრავლესობა, შედარებით უფრო ფარულად, სწორედ ამ მიმართულებით მუშაობდა. IV საუკუნის შემდეგ წამების ეპიკური ისტორები მიიჩნეოდა ქრისტიანული ეკლესიის დაფუძნების საწყისად, რომლის მითვისებას არაერთი ჯგუფი ცდილობდა [პაპაკონსტანტინუ 2006 : 9]. კოპტურმა ეკლესიამაც იგივე გააკეთა VII-VIII საუკუნეებში, როდესაც მათ გადაწერეს სხვადასხვა ისტორია წამების შესახებ. მათ სცადეს წამებული ეკლესიის სტატუსი ჩამოერთმიათ მეტოქეებისათვის და მიეთვისებინათ ის. დაპყრობის შემდგომი საუკუნე გახლდათ მითების აქტიური შეთხვზის პერიოდი. კოპტურმა მარტიროლოგიურმა ლიტერატურამ გამოიყენა ყველა ზემოთ ხსენებული მექანიზმი, რათა კოპტური ეკლესიისთვის შეექმნა ახალი მითიური საფუძველი [პაპაკონსტანტინუ 2006 : 10]. იმისთვის, რომ ეგვიპტურ ქრისტიანულ სოციუმს სრულად მოერგო წამებულის ეპოსი, მას სჭირდებოდა მოერგო ყველა საკვანძო პიროვნება პრე-კონსტანტინური მარტირული ეკლესიიდან. დიოკლეტიანეს მმართველობამ საკუთარი კვალი დაატყო ეგვიპტეს. მან გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები და ადმინისტრაციული რეორგანიზაცია, რამაც შეიძლება ახსნას ის ფაქტი, თუ რატომ აირჩიეს დიოკლეტიანეს მწამებლური პოლიტიკა ეკლესიის ისტორიის საფუძვლად და არა უფრო ადრინდელი წამებები, რომლებიც ეგვიპტეს დიოკლეტიანემდეც შეეხო. IV საუკუნის დასასრულს გამოჩნდა ტერმინი „დიოკლეტიანეს ერა“, რომელიც 284 წელს დაიწყო. ეს ერა საწყის ეტაპზე მხოლოდ ჰოროსკოპებსა და პირად ჩანაწერებში მოიხსენიებოდა, თუმცა არაბების დაპყრობის შემდეგ კოპტურმა ეკლესიამ ეს ერა მეთოდურად აქცია „მარტირების ერად“. შესაბამისად, კოპტური ეკლესია ოფიციალურად გამოცხადდა მარტირების, დიდი წამებულების შთამომავლად [პაპაკონსტანტინუ 2006 : 17]. ამ განცხადებას ეწინააღმდეგებოდნენ ისეთი ჯგუფები, როგორებიც მელიქიტები იყვნენ. მათ აშკარად უკეთ შეეძლოთ გამოეცხადებინათ საკუთარი თავი მოწამეთა ეკლესიად. ამ გზებით ცდილობდა კოპტური სოციუმი ისლამურ ეგვიპტეში შეექმნა საკუთარ წამების თქმულება, რომელიც იყო სრულიად დამოუკიდებელი და თვითმყოფადი [პაპაკონსტანტინუ 2006 : 23].

იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ მოხდა ეგვიპტის ტრანსფორმაცია ისლამურ ქვეყნად, აუცილებელია განვიხილოთ, როგორ მოხდა ახალი მონოთეისტური რელიგიის, ისლამის გავრცელება, რომლის მქადაგებელიც იყო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ფიგურა – მოციქული მუჰამედი. ის დაიბადა კეთილშობილურ ოჯახში მექაში არაბთა ნახევარკუნძულზე 570 წელს. 40 წლის ასაკში მასზე გარდმოვლენილ იქნა ისლამური მოძღვრება. მოციქული მუჰამედის ქადაგებები ზეპირი გზით შემოგვინახეს მისმა მიმდევრებმა, ხოლო VII საუკუნის შუა პერიოდში, მართლმორწმუნე ხალიფა ოსმანის დროს მოხდა მისი ჩაწერა სალიტერატურო არაბულ ენაზე. მუსლიმთა წმინდა წიგნი – ყურანი, მოიცავს 114 სურას. თავად ტერმინი „ისლამი“ ნიშავს თავის მიძღვნას (ღვთისადმი) და ის რელიგიურთან ერთად საზოგადოებრივი ქცევის ნორმებსაც მოიცავს. მუსლიმებს აქვთ 5 ძირითადი მოვალეობა: ალაჰის აღიარება ერთადერთ ღმერთად; ყოველდღიური ხუთჯრადი ლოცვა წმინდა ქალაქის, მექის, მიმართულებით; მოწყალების გაცემა; მარხვის დაცვა წმინდა თვეში, რამადანის თვეში, რომლის დროსაც უარს ამბობენ ყველა სახის სასმელზე ან საკვებზე მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე; ცხოვრებაში ერთხელ მაინც პილიგრიმობა მექაში. მუჰამედის იდეოლოგია ჩამოყალიბდა მის მშობლიურ ქალაქ მექაში, ხოლო 622 წელს მუჰამედი და მისი მიმდევრები გადასახლდნენ მედინაში. ეს გადასახლება ცნობილია ტერმინით „ჰიჯრა“, რაც ითვლება მუსლიმური ეპოქის დასაწყისად. მომდევნო საუკუნეებში ისლამმა სწრაფად დაიწყო გავრცელება მოსაზღვრე რეგიონებში – აღმოსავლეთით სირიასა და მესოპოტამიაში და დასავლეთით ეგვიპტის მიმართულებით, ჩრდილოეთ აფრიკაში, მაროკოსა და ესპანეთში. ეგვიპტეში არაბთა 3500 ცხენოსანი არმიით შესვლას ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი და ყველაზე მნიშნელოვანი იყო ის, რომ ეგვიპტე მდიდარი იყო ბუნებირივი რესურსებითა და საკვებით, რაც მნიშვნელოვანი იყო ჰიჯაზისთვის (წმინდა ადგილი მექაში); ამასთანავე, ის წარმოადგენდა ბიზანტიის პროვინციას და საფრთხეს უქმნიდა არაბებს დაპყრობილ ტერიტორიებზე – სირიასა და პალესტინაში [ქამილი 2002 : 222-223]. არაბთა დაპყრობების შესახებ წერილობითი წყაროები საუკუნეების შემდგომ იქმნება, რამაც თავისთად გამოიწვია ურთიერთგამომრიცხავი წყაროებისა და ინფორმაციის არსებობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, არის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ერთნაირად არის დადასტურებული ყველა წყაროში: მელქიტების კონტროლის დაწესება ელ-ფარმაში; გამარჯვება ჰელიოპოლისში; „მისრის“ შემდგომი უკუპაცია (ტერმინი „მისრ“ არის ძველი სახელი და აღნიშნავს წინაისლამურ ქვეყანას, რომელშიც შემდგომ აშენდა ბიზანტიური ბაბილონის ციხესიმაგრე); სამშვიდობო ხელშეკრულების დადება და ‘ამრის კეთილგანწყობა

კოპტებისადმი, რაც მომდინარეობდა ისლამური ტრადიციიდან, რომელიც დიდ პატივს სცემდა წინასწარმეტყველი მუჰამედის წინაპრის, ისმაილის, ეგვიპტელ დედას, ჰაგარს. თებეს ეპისკოპოსისა და ზემო ეგვიპტის მთავარეპისკოპოსის იოანეს ქრიონიკებმა შემოგვიანხა იმ პერიოდის ისტორიული მოვლენები. ერთი შეხედვით, რთულია მიჰყვე ამ ჩანაწერებს, რადგან ბევრი მათგანი დაკარგული ან დაზიანებულია, განსაკუთრებით ის წყაროები, რომლებიც თარგმნილია ბერძნულიდან არაბულად, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს ქრონიკები, ერთი მხრივ, მოგვითხრობს ეგვიპტელების მიერ მუსლიმებისთვის გაწეულ დახმარებაზე, მეორე მხრივ კი გადმოგვცემს ნათელ სურათს იმ მოვლენებისას, რომლებიც წინ უძღოდა მელქიტი პატრიარქის მიერ ალექსანდრიის დატოვებას [ქამილი 2002 : 223].

იოანე, თებეს ეპისკოპოსი, წერს: „მუსლიმების მიერ ფუსტატის და მისი შემოგარენის ხელში ჩაგდების შემდეგ ‘ამრმა გადაწყვიტა ბრძოლის გაგრძელება. მან უბრძანა თავის რაზმს, რომ მდინარეზე აეგოთ ხიდი, რომლითაც საშუალება მიეცემოდა, დაეპყრო „მისრის“ ყველა ქალაქი. ხალხმა დაიწყო მუსლიმების დახმარება, მაგრამ ‘ამრი ამას არ დასჯერდა, მან დაატყვევა ყველა ბიზანტიელი მმართველი, ხისა და რკინის ბორკილები დაადო ხელ-ფეხზე და ჩამოართვა მათ ქონების უმეტესი ნაწილი“. მუსლიმებს ამ ბრძოლაში მოტივაციას აძლევდა, ერთი მხრივ, ბიზანტიელების სისუსტე და ბიზანტიის იმპერატორისადმი, ჰერაკლესადმი, ხალხის მტრული განწყობა, მეორე მხრივ კი ქალკედონიტი პატრიარქის, კიროსის, მხარდაჭერა და წაქეზება. პატრიარქი კიროსი გაეშურა ბანაკისაკენ, სადაც განთავსებულნი იყვნენ მუსლიმები, რათა მოეხერხებინა ომის შეწყვეტა და სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. ‘ამრი დადებითად შეხვდა მის ჩასვლას და უთხრა: „დღეიდან არ იქნება მტრობა და დაპირისპირება თქვენსა და ბიზანტიას შორის და დღეიდან არ გეყოლებათ მუდმივი მოწინააღმდეგე“. ამის შემდგომ კი მათ დაადგინეს მშვიდობის სანაცვლოდ გადასახდელი ხარკის ოდენობა. ბიზანტიელების ჯარმა ზღვით დატოვა ალექსანდრია. მათ თან წაიღეს თავიანთი ნადავლი და ისინი არასდროს დაბრუნებულან უკან. ხოლო ისინი, ვინც ხმელეთით მოისურვეს ტერიტორიის დატოვება, ყოველთვიურ გადასახადს იხდიდნენ [ქამილი 2002 : 223-224]. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ‘ამრმა მიანიჭა ებრაელ, ნუბიელ, ბიზანტიელ, ეგვიპტელ და მისრიელ ხალხს მშვიდობა და რელიგიური თავისუფლება ჯიზიას გადახდის (სულადობრივი გადასახადი, რომელსაც იხდიდა ყველა, გარდა ქალების, ბავშებისა და მოხუცებისა), კომლობრივი გადასახადის, მუსლიმთა არმიის შეფარებისა და დახმარების სანაცვლოდ. ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა იმასაც, რომ ნილოსისთვის დამახასიათებელი წყალდიდობის შემთხვევაში მოსახლეობა გადაიხდიდა

პროცენტულად უფრო მცირე რაოდენობის გადასახდს, ვიდრე ჩვეულებრივი გადახდის დროს. ხოლო ისინი, რომელთაც უარი თქვეს ამ ხელშეკრულებაზე და წასვლა ამჯობინეს, იღებდნენ ხელშეუხებლობის გარანტიას მანამ, სანამ არ მიაღწევდნენ დაცულ ადგილამდე და დატოვებდნენ სამეფოს. 642 წლის 17 სექტემბერს მელქიტების პატრიარქმა დატოვა ალექსანდიირს ნავსადგური, მალევე მას მიჰყვა მისი არმია. დარჩნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც მოისურვეს, შეერთებოდნენ ‘ამრის არმიას და თავიანთ ოჯახთან ერთად დასახლებულიყვნენ ეგვიპტეში. ამის შემდგომ ეგვიპტის პატრიარქი, აბბა ბენიამინი ცამეტწლიანი დევნილობის შემდეგ დაბრუნდა ალექსანდრიაში, მოინახულა და შეამოწმა ეკლესიები. ალექსანდრიის პატრიარქთა ისტორიიდან ვიგებთ, რომ, როდესაც ბენიამინმა გადაიბარა კუთვნილი ადგილი, ეგვიპტელებმა ის სიხარულით მიიღეს [ქამილი 2002 : 224-225].

ფარანის ოაზისი, რომელიც გამოცხადებული იყო სინას საეპოსკოპოსო და სასულიერი ცენტრად (მანამ, სანამ არ დაცარეილდა ბედუინთა თავდასხმების გამო და მოსახლეობა არ შეუერთდა სინას მთის ძირში არსებულ ეკატერინეს მონასტერს), მელქიტი ეპისკოპოსის ხელში დარჩა. წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში დაცული დოკუმენტების ნაწილით ვიგებთ, რომ მოციქული მუჰამედის მიერ სინას ბერებთან დადებული შეთანხმებით (სავარაუდოდ, დაწერილია არაბულად მუჰამედის დროს და მისი გამოქვეყნება მოხდა მეორე მართლმორწმუნე ხალიფას, ომარ იბნ ალ-ხატაბის, დროს) დასტურდება, რომ აღნიშნული ტერიტორიის სტატუსი არ უნდა შეცვლილიყო [ქამილი 2002 : 225]. „თუ რომელიმე ბერი ან განდეგილი მიდის მთაზე, მონასტერში, მინდორში, უდაბნოში, ქალაქში, სოფელში, ეკლესიაში, მე ვიქნები მისი დამცველი ყველა მტრის წინააღმდეგ, პირადად მე და ჩემი ჯარი ვალდებულებას ვიღებთ, არაფერი ავიღოთ მათგან, თუკი ეს არ იქნება ნებაყოფლობითი, ყოველგვარი იძულების გარეშე. ეპისკოპოსს არ აქვს უფლება, გავიდეს თავისი ეპარქიიდან, არც მღვდელს – თავისი მრევლიდან, არც განდეგილს – თავისი კელიიდან... ხოლო ის, ვინც არ დაეთანხმება ამას, ის წავა ღვთის ნების და წინასწარმეტყველის წინააღმდეგ“ [ქამილი 2002 : 225]. ეს შეთანხმება მრავალჯერ განახლდა შემდგომი მმართველობის პერიოდშიც და მიიჩნევა დაპყრობის შემდგომ მუსლიმთა პოლიტიკის ნიმუშად [ქამილი 2002 : 225].

‘ამრ იბნ ალ-‘ასმა ბაბილონის ციხესიმაგრესთან ახლოს დააარსა თავისი მუდმივი სამხედრო ქალაქი, რომელსაც ჰქონდა სტრატეგიული მდებარეობა დელტის მწვერვალზე და აკონტროლებდა ქარავანთა გადაადგილებას არაბეთიდან ქალაქის მიმართულებით. ქალაქი

თავდაპირველად ცნობილი გახდა სახელით „მისრ“, შემდგომ კი ეწოდა „მისრ ელ-ფუსტატ“ (ნიშნავს სამხედრო ბანაკს), რათა განესხვავებინათ ის სხვა რეგიონებისგან, მაგალითად, როგორიც იყო ალ-ასკარი (სამხედრო ბანაკი) ჩრდილოეთით. მუსლიმები არ იყვნენ სასტიკები ქრისტიანთა მიმართ. არაბები საკმაოდ ლიბერალურ პოლიტიკას ატარებდნენ და მხოლოდ უმნიშვნელოდ ერეოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ თუ სოციალურ საქმიანობაში. ქრისტიანები და ებრაელები, მუსლიმებთან ერთად, ითვლებოდნენ წმინდა წერილის მქონე ხალხად [ქამილი 2002 : 225-226]. ცნობილი ეგვიპტელი ისტორიკოსი, იაკობ რუვილა, გადმოგვცემს, რომ კოპტები მნიშვნელოვან მუშახელს წარმოადგენდნენ ახალი ქალაქის მშენებლობის საქმეში. მმართველი ელიტის უმეტესობასაც კოპტები წარმოადგენდნენ. ისინი აგებდნენ უდიდეს სასახლეებს, ბაღებს, ფართო სამონასტრო კომპლექსებს, ეკლესიებს. არაბები კი მხარს უჭერდნენ მათ ამ ყოველივეს განხორიცელებაში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფუსტატის აშენებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით კოპტებს [რუვილა 1898 : 52]. ფუსტატი, რომლის შუაგულშიც იყო არაერთი ეკლესია და ტაძარი, წარმოადგენდა მუსლიმთა ჯარის სამხედრო ბანაკს. ისინი ლოცულობდნენ ღია ცის ქვეშ, რადგან იმ დროს აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი, ‘ამრის მიერ აგებული მეჩეთი. ამ ყველაფერზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როგორი იყო იმ პერიოდში არაბებისა და კოპტების თანაცხოვრება. რაც შეეხება ქვეყნის მოწყობას და მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას, კოპტებს ამაშიც მიუძღვით წვლილი. ‘ამრმა კოპტებისგან აიღო რჩევა, რათა შეექმნა ისეთი სისტემა, რომელშიც ყველა მოქალაქე და მმართველი იცხოვრებდა მშვიდობით და კომფორტულად. მან ქვეყანა დაყო რამდენიმე ნაწილად და თითოეული მათგანს სათავეში ჩაუყენა კოპტი მმართველი. თითოულ რეგიონს ჰქონდა თავისი საზღვრები და გამორიჩეოდა სხვა რეგიონებისგან. მმართველი აგვარებდა მოსახლეობას შორის არსებულ დავებს, აარსებდა სასამართლო და სააპელაციო სასამართლოებს, რომლებიც შედგებოდა პატიოსანი და ერთგული წევრებისგან. კოპტებს ეძლეოდათ საშუალება, ჩარეულიყვნენ იმ სასამართლო დავებში, რომლებიც დაკავშირებული იყო კოპტებთან. მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება, მოეგვარებინათ ყველა სასამართლო დავა თავიანთი რელიგიური კანონმდებლობის მიხედვით. მათ ჰქონდათ გარკვეული ტიპის თავისუფლება და სამოქალაქო დამოუკიდებლობა. ეს ყველაფერი კი ის პრივილეგიები იყო, რომელიც ჩამორთმეული ჰქონდათ ბიზანტიელთა მმართველობის დროს [რუვილა 1898 : 55-56]. ასევე მოგვეპოვება ამ პერიოდის კოპტურ ენაზე ჩაწერილი ანგარიშები და რვეულები, რომლებიდანაც ვიგებთ, რომ ერთ წელიწადში

ხალიფასთვის გადასახადების სახით შეგროვდა 14 მილიონი დინარი მაშინ, როდესაც ბიზანტიელთა მმართველობის დროს კიროსი მხოლოდ 8 მილიონი დინარის შეგროვებას ახერხებდა. ’ამრ იბნ ალ-ასი მწყემსავდა და პატრონობდა ეგვიპტეს. ის იცავდა მოსახლეობის უსაფრთხოებას და სიმშვიდეს. ის არ სთხოვდა მოსახლეობას იმაზე მეტ გადასახადს, რომლის გადახდაც ევალებოდათ. მან დაარწმუნა კიდეც ხალიფა, რომ არ გაეზარდა ან არ დაეჩქარებინა გადასახადების აკრეფა. მან არაერთხელ დაარღვია ხალიფასადმი მიცემული პირობა. მას არასდროს არ შეუვიწროვებია მოსახლეობა და არ გაუზრდია გადასახადები იმიტომ, რომ შეევსო ნაკლებობა და სრულად გაეგზავნა მოთხოვნილი გადასახადი ხალიფასთვის. ეს ყველაფერი თავისთავად მიუთითებს ამ პერიოდში მოსახლეობის და კონკრეტულად კოპტების დაწინაურებაზე. ავტორი ასევე ხაზს უსვამს იმასაც, რომ ‘ამრ იბნ ალ-‘ასის მმართველობის პერიოდში კოპტებმა მოიპოვეს ის სიმშვიდე და კომფორტი, რომელიც არ ღირსებიათ დიდი ხნის განმავლობაში [რუვილა 1898 : 57].

მისრ ელ-ფუსტატის გარშემო სპარსელთა ოკუპაციის შემდგომ დაზიანდა არაერთი ეკლესია და მონასტერი, რომელმაც არაბთა დაპყრობის შემდგომ სხვადასხვა ბედი განიცადა. მაგალითად, ბიზანტიური ციხესიმაგრის კედლები და წმინდა სერგის სახელობის ეკლესია გადაკეთდა საეპისკოპოსოდ და პირველ კოპტ პატრიარქად აირჩიეს ისააკი (681-692 წწ.); ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც ცნობილია ასევე „კასრიათ ელ–რიჰან“-ის სახელით, დარჩა ბიზანტიელთა ხელში, მოგვიანებით კი დაიწვა [ქამილი 2002 : 227]. წმინდა მერკურის, რომაელი ლეგიონერის, რომელიც მოწამეობრივად გარდაიცვალა პალესტინაში, სახელობის საკათედრო ეკლესიისა და მონასტრის კედლები გადაკეთდა შაქრის ლერწმის საწყობად, IX საუკუნეში კი დაბრუნდა კოპტების მფლობელობაში. წმინდა შენუდას სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაც, რომელიც საწყობად იყო გადაკეთებული, დაუბრუნდა პატრიარქის, ბენიამინ II-ის (1327-1339 წწ.), დაქვემდებარებას. ამასთანავე, არაბთა დაპყრობიდან მალევე თარიღდება ახალი, წმინდა მენას სახელობის ეკლესიის მშენებლობის დაწყება ფომ ელ-ხალიჯთან (კაიროში, ალ-ჰამრას რეგიონში), რომლის მშენებლობაც დასრულდა 735 წელს, ალ–ვალიდ იბნ რიფა’ას მმართველობის დროს. რაც შეეხება ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას, რომელსაც ასევე ეწოდება „ელ– დამშირიია“ და მდებარეობს წმინდა მერკურის სამონასტრო კომპლექსში, აშენდა 786 წელს, ხალიფა ჰარუნ ალ-რაშიდის მმართველობის დროს [ქამილი 2002 : 227].

როგორც აღვნიშნეთ, ‘ამრმა ააშენა პირველი მეჩეთი ეგვიპტეში, რომელიც ცნობილია ‘ამრის მეჩეთის ან „ელ-ჯამეა ელ-ატიკ“-ის (ძველი მეჩეთი) სახელით. თავდაპირველად ის იყო მარტივი, მართკუთხა ფორმის თიხის აგურის სტრუქტურა, რომლის სახურავიც ეყრდნობოდა სვეტებს და გადახურული იყო პალმით. მასლამას მმართველობის პერიოდიში, 673 წელს, როდესაც ის ვეღარ იტევდა მზარდ სამხედრო გარნიზონს, გადაკეთდა ახალ მეჩეთად. ოთხივე კუთხეში ააშენეს მინარეთი. მეჩეთი მდიდრულად იყო გაფორმებული მარმარილოთი, მოზაიკით და ლურჯ ფონზე ამოყვანილი ყურანის მოოქროვილი აიებით. რელიგიური ღვთისმსახურების ადგილთან ერთად ის წარმოადგენდა საბჭოს და მოგზაურთა მოსასვენებელ ადგილს. 710 წელს მმართველმა ქურა იბნ ალ-შარიკ ალ-აბასმა მეჩეთთან ახლოს ააშენა ერთგვარი სამთავრობო სახლი. ადგილობრივი მუშახელი საკმაოდ ადვილი მისაგნები იყო, რადგან იმ პერიოდიში იქ ცხოვრობდა უამრავი ქვის, ხის, მინის წარმოებაში ჩართული ხელოსანი. საკუთარი დაარსების 15 წლის თავზე ელ-ფუსტატი ჩრდილოეთით გაფართოვდა. აშენდა ახალი მეჩეთები. საწყის ეტაპზე ისინი მარტივი სტრუქტურისაგან შედგებოდა და მოიცავდა დარბაზებს, რომლის 3 კუთხე იყო გადახურული, ხოლო მეოთხე იყო ღია და მასზე გამოკვეთილი იყო თაღის ფორმა. თითოეულ ამ დარბაზში გამოკვეთილი იყო ასევე მიჰრაბი, რაც ლოცვის დროს ეხმარებოდა მუსლიმებს, განესაზღვრათ მიმართულება წმინდა ქალაქ მექისკენ, რადგან მორწმუნე მულსიმი ვალდებული იყო ელოცა ამ მიმართულებით. ამ მზარდ ქალაქში მუსლიმთა და კოპტთა საცხოვრებელი ტერიტორიები არ იყო გაყოფილი [ქამილი 2002 : 227].

ომაიანთა პერიოდში კოპტებს ჰქონდათ აბსოლუტური რელიგიური თავისუფლება. გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კოპტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ასევე ისლამური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. არაერთი ისტორიკოსი მოგვითხრობს კოპტების დაწინაურებულ მდგომარეობასა და მათი მაღალ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ, თუმცა ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ კოპტებს ასევე გამორჩეული მდგომარეობა ჰქონდათ სახალიფოშიც, რაც დასტურდება არაერთი ფაქტითა და მტკიცებულებით [მაჰმუდი 1997 : 299]. „ცივილიზაცია იწყება მაშინ, როდესაც მთავრდება ზეწოლა და წნეხი, იმიტომ, რომ, თუკი ადამიანს აქვს უსაფრთხოებისა და დაცულობის გარანტია და თუ თავს გრძნობს თავისუფლად, მასში იღვიძებს ცნობისმოყვარეობა, შემოქმედებითობისა და შენების სურვილი. თუ ადამიანს გამუდმებით თან სდევს მოტივაცია, ის აუცილებლად უბიძგებს მას, განაგრძოს თავისი გზა, შეიცნოს ცხოვრება და ააყვავოს ის“ [მაჰმუდი 1997 : 300]. აი, სწორედ ეს განაპირობებდა იმას, რომ კოპტებს უდიდესი წვლილი მიუძღოდათ აღმშენებლობის საქმეში, განსაკუთრებით კი ომაიანთა დინასტიის

პერიოდში. ისინი რომ ყოფილიყვნენ წნეხის ქვეშ, ვერ მოახერხებდნენ ამ პროცესებში ასეთი დიდი წვლილის შეტანას, რადგან ტყვეობა არ შობს შემოქმედებას [მაჰმუდი 1997 : 300]. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდთან დაკავშირებით არსებობს არაერთი სტატია, რომელიც ამტკიცებს საპირისპიროს. ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორები უგულებელყოფენ იმ კვალს, რომელიც კოპტებმა დატოვეს ისლამურ ცივილიზაციაში, საუბრობენ ომაიანთა მხრიდან კოპტების და ზოგადად ყველა სხვა იდენტობის და რელიგიის მატარებელი მოსახლეობის ჩაგვრაზე. მათი თვითმიზანი, ალბათ, ომაიანთა ხანის ისტორიისთვის ჩირქის მოცხებაა [მაჰმუდი 1997 : 300].

როდესაც კოპტების დამსახურებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ მათი როლი ისლამური ფლოტის შექმნაში. როგორც ისტორიკოსები გადმოგვცემენ, ისლამის გავრცელების პირველ საუკუნეებში სამხედრო ხომალდების აგება დიდებულ საქმედ ითვლებოდა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა კი ამას ომაიანთა დინასტიის პერიოდში ენიჭებოდა. დღესდღეობით აღმოჩენილი არაერთი პაპირუსი არის იმის დამადასტურებელი, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ამოცანა ეკისრებოდათ კოპტებს ამ მშენებლობაში. ეგვიპტე იყო პირველი ქვეყანა არაბებისთვის, რომლის მოსახლეობის გამოცდილებიდან მათ ისარგებლეს და დაიწყეს საზღვაო ფლოტის შექმნა. რაც შეეხება კოპტებს, ისინი სიამოვნებით გასცემდნენ თავიანთ გამოცდილებას, რადგან ხედავდნენ არაბების მხრიდან ტოლერანტობასა და კარგ დამოკიდებულებას [მაჰმუდი 1997 : 301]. საბოლოო ჯამში, მუსლიმები ეყრდნობოდნენ კოპტების გამოცდილებას არა მხოლოდ საზღვაო ფლოტის შექმნაში, არამედ ისინი კოპტების დახმარებით აარსებდნენ სხვადასხვა პორტს ისლამური სახელმწიფოს ყველა მხარეში. ეგვიპტე ცნობილი იყო მრეწველობითა და გემთმშენებლობით, სადაც მუშებად ძველი, გამოცდილი კოპტი მუშები მუშაობდნენ. ისინი აქტიურად მუშაობდნენ ალექსანდრიაში, დუმიატში, წითელ ზღვაზე. მათ მონაწილეობა მიიღეს სირიისა და მაღრიბის პორტების მშენებლობაში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ არა მხოლოდ ეგვიპტეში მიმდინარე მშენებლობებში, არამედ ეგვიპტის გარეთაც, სხვა ისლამურ სახელმწიფოებშიც. არაერთი დოკუმენტი ადასტურებს იმას, რომ კოპტებს გამუდმებით იწვევდნენ მრეწველობაში, ხომალდების, სასახლეების, ხიდების მშენებლობაში. მათი ანაზღაურება და საცხოვრებელი პირობებიც არ იყო ცუდი [მაჰმუდი 1997 : 302].

გემების, სასახლეებისა და ხიდების მშენებლობასთან ერთად კოპტები მონაწილეობას იღებდნენ მეჩეთების მშენებლობაშიც. ჩვენამდე მოღწერულია ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც

ომაიანთა ხალიფა ვალიდმა მისწერა ‘ამრ იბნ ალ-‘აზიზს და სთხოვა მასჯიდ ალ-ნაბავის (წინასწარმეტყველის მეჩეთის) რეკონსტრუქცია, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეღოთ მონაწილეობა ეგვიპტელებსაც; ასევე ქურა იბნ შარიქის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა ეგვიპტის მმართველს და სთხოვა კოპტი მუშახელისა და არქიტექტორების ჩართვა დამასკოს ომაიანთა მეჩეთის მშენებლობაში, რომელიც გრძელდებოდა ექვსი თვის განმავლობაში. თითოეულ ამ წერილს თან ახლდა დეტალები მუშახელის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი პირობების შესახებ, რომლებსაც მიიღებდნენ მშენებლობაში ჩართვის სანაცვლოდ. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ იმავე ქურა იბნ შარიქის ერთ-ერთი ნოტიდან ვიგებთ, რომ კოპტებმა მონაწილეობა მიიღეს იერუსალიმის ალ-აკსას მეჩეთის მშენებლობაშიც [მაჰმუდი 1997 : 317].

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტე ითვლებოდა ისლამური სახალიფოს პოლიტიკის მიმდევრად, მათ დიდი გავლენა იქონიეს მუსლიმთა არქიტექტურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე. სირიისა და ეგვიპტის ქრისტიანულმა ტაძრებმა დასაბამი მისცა მუსლიმურ ტაძრებში თაღებისა და სვეტების გამოყენებას. ბევრი ისტორიკოსი წერს მეჩეთების არქიტექტურაში ქრისტიანული ეკლესიების ელემენტების არსებობაზე. მაგალითად, მიჰრაბი, ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მის შექმნაში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქრისტიანული ეკლესიის აფსიდამ, რომელიც ეკლესიის შუა გულში მდებარეობდა. რაც შეეხება ისლამური მეჩეთების მინარეთს, მის ანალოგიას ქრისტიანული ეკლესიების სამრეკლოები წარმოადგენს [მაჰმუდი 1997 : 318]. დოქტორი აბდ ალ-‘აზიზ სალიმი კი საპირისპიროს ამტკიცებს და წერს: „მინარეთი წმინდა ისლამური წამოშობისაა, ხოლო მინბარი, როგორც მისი განვითარების ეტაპებიდან ვიგებთ, მოციქული მუჰამედის დროს მედინაში გამოიყენებოდა და თიხისგან იყო ნაგები, ის შედგებოდა ორი საფეხურისგან. შემდგომ ის მზადდებოდა ხისგან და ემატებოდა საფეხურებიც. რაც შეეხება მიჰრაბს, იმის თქმა, რომ მის საფუძველს წარმოადგენს ეკლესიის აფსიდა, საფუძველსაა მოკლებული. აფსიდასთან მისი მსგავსება არ გვაძლევს იმის მტკიცებულებას, რომ ის მისგან მომდინარეობს, რადგან ორივე მათგანის როგორც გარეგნული ფორმა, ასევე ფუნქციაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მინარეთს აქვს ნახევრადწრიული მართკუთხედის ან რვაკუთხედის ფორმა, რომლის შუაშიც არის კიბლას კედელი. ის თავიდან არ წარმოადგენდა მეჩეთის ძირითად ატრიბუტს და მოგვიანო ხანის დანამატს წარმოადგენს. თავდაპირველად მისი ფუნქცია იყო მმართველების უსაფრთხოების დაცვა პოლიტიკური მკვლელობებისგან. თავდაპირველად მინარეთი ძალიან ცოტა რაოდენობის მეჩეთში იყო [მაჰმუდი 1997 : 318].

თავი II. კოპტების კულტურული ცხოვრება ეგვიპტის ისლამიზაციის პერიოდში

მას შემდგეგ, რაც მელქიტებმა დატოვეს ეგვიპტე, ზოგიერთი ეკლესია გახდა მწვავე კამათისა და უთანხმოების მიზეზი. დავის საგნად გადაიქცა მდიდარი საპილიგრიმო ადგილები, მათ შორის წმინდა მენას მონასტერი მარიუტში. ეს ტაძარი ბედუინთა ოცდაათწლიან თავდასხმებს ემსხვერპლა. მისი გენიალური არქიტექტურული ელემენტები ჩამოიშალა. შენობა კი დანგრევის პირას იყო. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, შენობა გადარჩა XI საუკუნემდე, რაც დასტურდება იმით, რომ ის მოხსენიებულია არაბი გეოგრაფის ელ-ბაკრის ნაშრომებშიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ წმინდა ანტონის მონასტერი, რომელიც წითელი ზღვის მახლობლად მდებარეობდა, დაპყრობის შემდეგ ბერძენი მელქიტების ხელში იყო. როგორც ეთიოპიელი თეოლოგები იუწყებიან, კოპტი ბერები ბედუინის სამოსში გამოწყობილები, შეიპარნენ 790 წელს, რომ გაეტაცებინათ წმინდა იოანეს სხეულის ნაწილები და დაებრუნებინათ ვადი ელ-ნატრუნში. თუმცა დავალება იმაზე

რთული აღმოჩნდა, ვიდრე ბერები მოელოდნენ, რადგან აღმოაჩინეს, რომ მელქიტი ეპოსკოპოსი პირადად იცავდა საფლავს [ქამილი 2002 : 229]. როგორც ლეგენდა ამბობს, არაბთა მმართველმა უთხრა მელქიტ ღვთისმსახურს, რომელიც საფლავზე იჯდა: „უთხარი ყველა შენს ხალხს, რომ დატოვონ ეკლესია. მე მსურს, შევიდე ეკლესიაში და გავათენო ღამე“. ეპისკოპოსმა აღასრულა მმართველის ბრძანება, კოპტი ბერები კი მოემზადნენ, ღამით შევიდნენ ეკლესიაში, მოიპარეს სხეული და დაუბრუნდნენ ვადი ელ- ნატრუნს [ქამილი 2002 : 229]. კოპტებმა ოფიციალურად წმინდა ანტონის მონასტერი XII საუკუნის ბოლოს, პატრიარქ იოანე VI ის დროს გადაიბარეს [ქამილი 2002 : 229].

ხალიფა იყო იმ მუსლიმი ლიდერების ტიტული, რომლებიც მოციქული მუჰამედის პოლიტიკურ მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ. სახალიფო კი იყო ხალიფას კონტროლის ქვეშ არსებული ტერიტორია, რომელსაც იგი მმართველებს უნიშნავდა. 641-671 წლებში ხალიფა ომარის მმართველობის დროს (ომაიანთა დინასტიის სუნიტი მუსლიმების ლიდერი) წარმატებულმა მმართველებმა, რომლებსაც ზოგჯერ 20 000–იანი ჯარიც კი ჰყავდათ, მოახერხეს მელქიტების თავიდან მოშორება, დაამყარეს საკუთარი სამხედრო გარნიზონები, დააწესეს გადასახადები და დაიწყეს მარცვლეულის რეგულარული გატანა [ქამილი 2002 : 229]. გენერალი ‘ამრის ერთ-ერთ დოქტრინას წარმოადგენდა ასევე მოსახლეობასთან აღრევა და შეთანხმება, რაც აღწერილია იბრაჰიმ აჰმედ ელ-ადავის ისლამური სამყაროს ისტორიაში. ის აღწერს, რომ არაბმა დამპყრობელმა ინიციატივა გამოიჩინა ნიზამ ელ-ირთიბა‘ას, ანუ გაზაფხულის ჯგუფური ტურების სისტემების ჩამოყალიბებაში, რომელიც 3 თვის განმავლობაში გრძელდებოდა – ზამთრის დასასრულიდან ზაფხულის დასაწყისამდე, როდესაც არაბი ტომები, რომლებიც ელ-ფუსტატში ცხოვრობდნენ, მიდიოდნენ და მოგზაურობდნენ ეგვიპტურ სოფლებში, სროლისა და სხვა გასართობი საშუალებებისთვის. მართალია, ისინი ეგვიპტის სოფლებს ცხენების მწყემსობის მოტივით სტუმრობდნენ, თუმცა მათი მიზანი მწყემსობასთან ერთად დასვენება და განტვირთვაც იყო. ნიზამ ელ-ირთიბა‘ა იყო კარგი შანსი ორივე მხარისთვის, რათა უკეთ გაცნობოდნენ ერთმანეთს. არაბი მუსლიმები ეცნობოდნენ კოპტების ტრადიციებსა და ადათებს ისევე, როგორც კოპტები ეცნობოდნენ არაბთა ტრადიციებსა და ადათებს. ისლამური ერთპიროვნული მმართველები წყვეტდნენ, თუ რომელი ადგილები შევიდოდა ტურში და მმართველი გამოსცემდა ბუკლეტს, რომელშიც იგი პერსონალურად მიმართავდა თითოეულ ტომს და აღწერდა მათი ტურების ადგილებს. საწყის ეტაპზე ეს ადგილები მხოლოდ ელ-ფუსტატს და მის შემოგარენს მოიცავდა, მაგრამ მოგვიანებით მან დელტა და ზემო ეგვიპტე მოიცვა. ელ-ადავი ციტირებას

უკეთებს მიმართვებს, რომელსაც ‘ამრი გასცემდა ყოველ გაზაფხულზე: „თქვენ უნდა მოექცეთ თქვენს კოპტ მეზობლებს კარგად“. იგი აგრძელებდა ამ განცხადების გავრცობას და ამბობდა, რომ იკრძალებოდა აბორიგენი მოსახლეობისადმი ნებისმიერი ზიანის მიყენება და მათი ყოველდღიური ცხოვრების სტილსთვის ხელის შეშლა. იგი ასევე ამბობდა, რომ ამ სავალდებულო ტურების შედეგად ის იღებდა არაბი ტომების ახალ სოციუმს, რომელიც წარმოადგენდა მუსლიმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ნაზავს. ამასთან, არაბთა დაპყრობამდე ბიზანტიელთა მხრიდან კოპტების კერძო საკუთრებაზე გამუდმებული თავდასხმებისა და შევიწროვების, ან რელიგიური რწმენის თავისუფლების არქონის გათვალისწინებით, არაბებმა მარტივად მოახერხეს კოპტების ნდობის მოპოვება, მათთან დაახლოვება და დამეგობრება [ქამილი 2002 : 229-230]. პალსეტინისა და სირიისაგან განსხვავებით, ეგვიპტეში არ ყოფილა ფართო არაბული დასახლებები მანამ, სანამ ისლამი გავრცელდა. იმის გათვალისწინებით, რომ ახალ მმართველებს არც პრაქტიკული ცოდნა და არც გამოცდილება ჰქონდათ, იმხელა ქვეყნის მართვაში, როგორიც ეგვიპტეა, მათ დასჭირდათ ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება ადმინისტრაციულ და მატერიალურ საკითხებში. უამრავი პროვინცია ისევე დარჩა, როგორც იყო. მათ ისევ იგივე მმართველები განაგებდნენ და ითავსებდნენ სხვა ბიუროკრატიულ ვალდებულებებს. გადასახადები ადგილობრივ დონეზე გროვდებოდა მსხვილი მიწათმფლობელების ან სოფლის ბუღალტრების მიერ ცენტრალური ზედამხედველობის ქვეშ. ისლამზე მოქცევა არ ყოფილა იმდენად სწრაფი, როგორსაც მოელოდნენ. ყველაზე ადრე გლეხები, ფერმერები და ღარიბი მოსახლეობა მოექცა, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ, თავი აერიდებინათ არამუსლიმთათის სავალდებულო გადასახადისგან. ისლამზე მოქცეულთა შორის იყო ასევე უამრავი წარმართი და ქრისტიანიც. კოპტ და ბერძენ დაბალი რანგის ადმინისტრატორებს შორის, რომლებიც პროფესიონალ ბიუროკრატებს წარმოადგენდნენ, თითქმის არ არსებობდა მოქცევის მაგალითები. ეგვიპტელებმა შეიმუშავეს ერთობლივი პასუხი ისლამის პრინციპებსა და სამართალზე: ღმერთი მუდმივია, ღმერთი ერთადერთია, ღმერთი დიდებულია, ალაჰის გარდა, სხვა ღმერთი არ არსებობს და მუჰამედი ალაჰის მოციქულია. დღეში 5–ჯერ მინარეთიდან ლოცვისკენ მოწოდება არ ითხოვდა მეჩეთში დასწრებას. თხოვნები და ლოცვები შეიძლება მომხდარიყო სახლიდან, მინდორში ან სამსახურში. ისლამმა ეგვიპტეში ფეხი ადვილად მოიკიდა, რადგან ეგვიპტე ყოველთვის იყო ტოლერანტული სხვადასვხვა ხედვებისა და რწმენის მიმართ. კოპტებსა და მუსლიმებს შორის ურთიერთგაგება დაფუძნებული იყო იდენტურ-რელიგიურ ცნებებზე: სულის უკვდავება; მკვდრეადით აღდგომა;

მომავალი სასჯელი და ჯილდო – სამოთხე ან ჯოჯოხეთი; კარგი და ცუდი სულები; მარხვა; პილიგრიმობა და მსხვერპლშეწირვა. მოწყალების გაცემა, რომელიც საუკუნოვანი პრაქტიკა იყო ფარაონის დროიდან, ისლამში აბსოლუტურ ვალდებულებას წარმოადგენდა [ქამილი 2002 : 231].

XV საუკუნეში, არაბი ისტორიკოსი ალ-მაკრიზი გადმოგვცემს, რომ არაბმა მმართველმა აბდუ–ლ–'აზიზ იბნ მარვანმა ბერებს დაუწესა გადასახადი, რომელსაც ნიშნავდა რკინის ბეჭდით, რომელზეც მითითებული იყო ბერის სახელი და მონასტერი, რომელშიც მოღვაწეობდა. ამ გზით მარტივად ხდებოდა ბერების ამოცნობა. იმისათვის, რომ განვმარტოთ ამგვარი ქმედების მიზანი, აუცილებელია განვიხილოთ და გავითვალისწინოთ 2 ფაქტი: პირველი – მონასტრებს უამრავი მიწა ჰქონდათ, ბერებს ჰყავდათ უამრავი საქონელი და მოახდინეს ქსოვისა და ტყავის წარმოების მონოპოლიზაცია; მეორე – ბერები ნაკლებად იყვნენ დაკავშირებულნი საკუთარ მონასტრებთან, მათ თავისუფლად შეეძლოთ ერთი მონასტრიდან მეორეში გადასულიყვნენ. ისინი ყველა სოციალურ მოვლენაში მონაწილეობდნენ და წარმოადგენდნენ ქალაქებისა და სოფლების მეოთხედს. ამ შემთხვევისთვის კი ძალიან რთულდებოდა ხელმძღვანელობისთვის ყურადღება მიექციათ და თვალყური ედევნებინათ ამდენი ინდივიდისათვის. ეს ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აღიქმება, როგორც შევიწროვების მცდელობა, სავარაუდოდ, უფრო ეკონომიკური სტრატეგიის გაგრძელება იყო, ვიდრე რელიგიური დისკრიმინაციის ფენომენი. ბერებს ნიშნავდნენ არა იმიტომ, რომ ქრისტიანები იყვნენ, არამედ იმისთვის, რომ გაერკვიათ მათი მონასტრული კავშირი ამ მოსახლეობის მობილური ნაწილისთვის [ქამილი 2002 : 232].

ალექსანდე II-მ, ალექსანდრიის კოპტმა პატრიარქმა (705-730 წწ.) დაწერა წერილი, რომელშიც იგი ციტირებას უკეთებს ეგვიპტის უდიდეს თეოლოგებს, ათანასესა და კირილე ალექსანდრიელს. მან განმარტა ხატის თაყვანისცემა და მოუწოდა საკუთარ მიმდევრებს, რომ განმტკიცებულიყვენ რწმენაში. როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ლეო III-მ აკრძალა ხატების თაყვანისცემა და 730 წელს დაიწყო რელიგიური და ღვთიური კულტურული მიმდევრობების ეროვნულ საგანძურად მიჩნევის აკრძალვა, კოპტები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ძირითად ქრისტიანულ მიმდევრობასთან, მკაცრად შეეწინააღმდეგნენ ხალიფა იაზიდ II–ის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ეკლესიებს მათი ძვირადღირებული ჭურჭლები, ჯვრები და ხატები ჩამოერთვათ და გაანადგურეს. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტე ლეოს ძალაუფლების მიღმა იყო, ქვეყანა მაინც დაზარალდა იმ პერიოდის შედეგად, რომელსაც ჩვენ ხატმებრძლეობად ვიცნობთ. წმინდა ეკატერინეს მონასტერი, რომელიც სინას მთაზე მდებარეობს, იყო ერთადერთი

გადარჩენილი ადგილი [თომა : 1-11]. როდესაც მოძრაობა დასამარდა და ფიგურალური ხატმწერლობა აღდგა, მთელი ეგვიპტის მასშტაბით გარემონტდა ეკლესიები და კედლები ხელახლა მოიხატა ახალი ხატებით [ქამილი 2002 : 233].

არაბული, რომელიც წმინდა ყურანის საკომუნიკაციო ენაა და წარმოადგენდა ახალი ძალის ენას, გახდა წამყვანი ენა მთელი ქვეყნის მასშტაბით. უძველესი ადმინისტრაციული საბუთები არაბთა დაპყრობის შემდეგ იქმნებოდა ბერძნულად. ნახევარი საუკუნის შემდეგ კი გადაწყდა, რომ სახელმწიფო დოკუმენტაცია უნდა შევსებულიყო არაბულად. ხოლო კოპტები, რომელთაც სურდათ შეენარჩუნებინათ საკუთარი ადმინისტრაციული პოზიციები, იძულებულები გახდნენ, ესწავლათ არაბული. წარმოიშვა ორენოვანი ბერძნულ-არაბული საგადასახადო ფორმები, ქვითრები და სხვა საბუთები. პირველი წმინდა არაბული პაპირუსი გვხვდება 709 წელს. რაც შეეხება კოპტურ ხელნაწერებს, აქაც შესამჩნევია ქვეყნის მზარდი არაბიზაცია. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისლამიზაცია არაბიზაციის თანმდევი ნაწილი არ ყოფილა. ბერძნულ-კოპტური ორენოვანი ტექსტები პროგრესულად ჩაანაცვლა კოპტურმა V-VI საუკუნეებში. ხოლო, როდესაც ხალიფა ვალიდმა 715 წელს დაგმო ბერძნულის გამოყენება, კოპტურ-არაბული ორენოვანი ტექსტები იწყებს გამოჩენას. თუმცა მხოლოდ XII საუკუნეში მოახერხა ისლამმა ისეთი ძალის მოპოვება, რომ პატრიარქმა გაბრიელ II-მ დაარიგა მღვდლები, ლიტურგია სახალხო არაბულ ენაზე წაეკითხათ. ლიტურგიული წიგნები უფრო და უფრო ხშირად ატარებდნენ არაბულ თარგმანს კოპტურის გასწვრივ, მაგრამ საბოლოოდ მოსახლეობა არაბულენოვანი გახდა XIII-XIV საუკუნეების ბოლოს, არაბთა დაპყრობებიდან 6 საუკუნის გასვლის შემდეგ [ქამილი 2002 : 234-235]. აი, რას წერს იაკობ რუვილა კოპტური ენის შესახებ: „ერის ერთიანობას ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს, ესენია რელიგია და ენა. სამწუხაროდ, ორივე მათგანი ნელ-ნელა იკარგება და კარგავს თავის მნიშვნელობას კოპტებში. პირველ მათგანზე დიდ გავლენას ახდენს იმამთა მიერ თავიანთი საქმის უგულებელყოფა და მათი ჩართვა და დაინტერესება უფრო მეტად საერთაშორისო საქმეებით, ვიდრე რელიგიურით. ისინი არ ინტერესდებიან იმით, რასაც მათ ავალდებულებს რელიგია, არ ისწრაფვიან რელიგიური სწავლებებისკენ, რაც აპოვნინებს მათ იმ ძლიერ კავშირს, რომელიც ადამიანების სულებს დააკავშირებს სიყვარულთან, სულიერ სიმშვიდესა და ჰარმონიასთან, რათა მათ თავიანთი ურთიერთთანამშრომლობითა და დახმარებით მოახერხონ თავიანთი ერთობის განმტკიცება და შენარჩუნება. ეს ყოველივე კი შეუძლებელია, თუ არ გამოფხიზლდებიან იმამები და დაიწყებენ თავიანთი მოვალეობების სრულყოფილად შესრულებას. რაც შეეხება ენას, მან უკვე დაუთმო

თავისი ადგილი არაბულ ენას, განსაკუთრებით კი კაიროში და ზღვის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობაში. რაც შეეხება სხვადასხვა ტომობრივ გაერთიანებებს, მათთან დღემდე არის შემორჩენილი ენა, თუმცა ვფიქრობ, რომ ის ვერ გაუძლებს დროს და მალე ჩანცვლდება არაბული ენით [ჰელტომა 2015 : 139-152]. იგივე მოხდება ეგვიპტის სხვა რეგიონებშიც. კოპტური ენა ჩანაცვლდა არაბულით და ამიტომაც აღარ არსებობს კოპტი ერის ერთობა. ამ ყოველივეს ხელი შეუწყო ასევე ზოგიერთმა მმართველმა, რომელიც უკიდურეს აგრესიას იჩენდა კოპტების მიმართ და ცდილობდა დაეშალა და დაენაწევრებინა მათი ერთობა, შეემცირებინა მათი რაოდენობა. გარკვეული სახის სიმშვიდე კოპტებმა ფატიმიანთა მმართველობის დროს მოიპივეს, რაც გაგრძელდა 70 წლის განმავლობაში. თუმცა, სამწუხაროდ, ამ დროის განმავლობაშიც მიმდინარეობდა ომები მუსლიმებსა და ფრანკებს შორის. ეს ომები ცნობილია ჯვაროსნული ომების სახელით, რომელსაც ეს სახელი ეწოდა ფრანკი მეომრების გამო, რომლებსაც კისერზე და ტანსაცმელზე ეკიდათ ჯვრები, რაც სიმბოლურად გამოხატავდა მათ განზრახვას, დაეცვათ და დაეცალათ წმინდა მიწა მუსლიმებისგან“ [რუვილა 1898 : 155-156].

VIII-IX საუკუნეებში იწყება ახალი ემიგრაციები, როდესაც არაბ ტომთა ფართო ჯგუფები ჩრდილო აღმოსავლეთ არაბეთიდან წამოვიდნენ და დასახლლდნენ ეგვიპტურ სოფლებსა და ქალაქებში. თავდაპირველად ახალ დასახლებულებს ჰქონათ პრივილეგიები, ისინი არ იხდიდნენ არამუსლიმებზე დაწესებულ გადასახადებს, რასაც მოჰყვა რამდენიმე აჯანყება. მაგალითად, 725 და 773 წლებში აღმოსავლეთ დელტაში მოსახლეობამ გაყარა მმართველთა გადასახადების შემგროვებლები. მოგვიანებით ეტაპობრივად მუსლიმი დასახლებულები ადგილობრივ ეგვიპტელებთან ქორწინებაში შედიოდნენ და მათ საუკუნოვანი ნილოსის ნაპირის ცხოვრება ისრუტავდა. განსხვავება გაეგვიპტელებულ არაბებსა და გაარაბებულ ეგვიპტელებს შორის დროთა განმავლობაში თვალში საცემი გახდა. არაბები, რომლებსაც ერქვათ ალი და მუჰამედი, წერდნენ კოპტურად. იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ დამპყრობლებმა ისწავლეს ენა, შესაძლოა მოვიძიოთ იმ წერილებში, რომლებიც შესრულებულია მუსლიმი ლიდერების მიერ კოპტურ ენაზე ქრისტიანულ საკითხებთან დაკავშრებით [ქამილი 2002 : 235]. ზოგიერთი რამ შეიცვალა მაშინ, როდესაც 750 წელს აბასიანთა დინასტიამ კონტროლი მოიპოვა სახალიფოზე და დედაქალაქი დამასკოდან ბაღდადში გადაიტანა. ეგვიპტეში ინიშნებოდნენ წარმატებული სამხედრო მმართველები. საუკუნის განმავლობაში 80–ზე მეტი მმართველი გამოიცვალა ეგვიპტემ. მათი მოვალეობა იყო სოფლის მეურნეობით მდიდარი ქვეყნის მარცვლეული უწყვეტად ჩასულიყო ახლა უკვე საკმაოდ დაშორებულ ცენტრალურ ხაზინაში. ისინი განსხვავებულ

ტოლერანტულობის დონეს ამჟღავნებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ზოგიერთმა საკუთარი დამოუკიდებლობა მკაცრი ზედამხედველობის მიმართულებით წაიყვანა როგორც ეგვიპტელ, ასევე არაბ მოსახლეობასთან მიმართებაში. ზოგი საერთოდ არ ზრუნავდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. ისა იბნ მუსა უფლებას აძლევდა მოსახლეობას, რომ აეშენებინათ ეკლესიები. როგორც კოპტური ჩანაწერი იუწყება, 819-830 წლებში ასევე მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები ელ- ფუსტატში, პროვინციულ ქალაქებსა და უდაბნოს მონასტრებში. თუმცა ალ-მუთავაქილის ახალმა რეგულაციებმა ქალაქსა და სოფლებში დასახლებული კოპტები ერთნაირად შეავიწროვა. მათ უბრძანეს, რომ ეტარებინათ ყვითელი თავსაბურავი, მათი გამოსარჩევი სპეციალური ნიშანი ქამარზე, აუკრძალეს ქრისტიანული სიმბოლოების საკუთარ კარზე დაკიდება და ქუჩებში საპროცესო განათების ტარება [პელტომა 2015 : 153-175]. იმ ისტორიებში, რომელშიც კოპტების შემდეგმა თაობებმა საკუთარი ერის წამებები აღწერეს, ისინი კოპტების წამების ერთადერთ ფორმად არ ასახელებენ ზემოთ ხსენებულ რეგულაციებს, თუმცა არც უგულებელყოფდნენ მას [ქამილი 2002 : 235-236].

ფაქტი, რომ რამდენიმე ბერის კელია იყო მოთავსებული სამონასტრო კომპლექსების გარშემო, მიუთითებს იმაზე, რომ ასკეტიზმის სული კვლავ ცოცხალი იყო ეგვიპტურ სოციუმში და იყო უამრავი ადამიანი, რომელმაც იზოლაციისა და ლოცვის გზა არჩია დაპირისპირებისა და დისკრიმინაციის გზას. კოპტური პაპირუსები მთელი ეგვიპტის მასშტაბით არის ნაპოვნი, მათი არქეოლოგიური ძიება ახლაც მიმდინარეობს. ამ პაპირუსებით დასტურდება ინდივიდუალური გადასახადების, ასევე სასოფლო–სამეურნეო მიწების გადასახადების არსებობა, რომლებიც მონასტრების საკუთრებაში იყო. წმინდა თომას მონასტრის XVI საუკუნის აღდგენითი სამუშაოების დროს აღმოაჩინეს ჩანაწერები, რომლებშიც საუბარია VIII საუკუნეში ბერების მიერ გადახდილ გადასახადებზე. ასევე მთავარანგელოზი გაბრიელის მონასტრის მიმდებარედ აღმოჩენილია ვაზის დიდი საწყობები, რომლებიც სასვე იყო გადახდილი გადასახადების დოკუმენტებითა და პაპირუსებით. 50–ზე მეტი არაბული ჩანაწერი შეეხებოდა საკუთრების გაყიდვას, იქნებოდა ეს მიწები თუ სახლები, ასევე X-XI საუკუნეების განმავლობაში გაცემულ ფულადობრივ სესხებს. ეს ჩანაწერები შექმნილი იყო ნოტარიულ ბიუროში, ქალაქ ლაჰუნის მახლობლად [ქამილი 2002 : 236].

ეგვიპტის ისტორიის ახალი ეტაპი 868 წელს იწყება, როდესაც ქვეყანას სათავეში უდგას აჰმედ იბნ ტულუნი, თურქი დაქირავებული ჯარისკაცი, ძლიერი პიროვნება, რომელიც ხელს

უწყობდა ვაჭრობას, მიწათმოქმედებას და ყურადღებას აქცევდა სოფლად დასახლებული მოსახლეობის საჭიროებებს, უფრო მეტად, ვიდრე სხვა მუსლიმი ლიდერები. იგი ბაღდადს აუჯანყდა და გადასახადების გადახდაზე უარი თქვა. მას ზურგს უმაგრებდა საკუთარი დაქირავებული ჯარისკაცების არმია, რისი მეშვეობითაც მან მოახერხა დამოუკიდებელ მმართველად ჩამოყალიბება. დამოუკიდებლობის სიმბოლოდ მან ელ-ფუსტატის ჩრდილოეთით ჩამოაყალიბა სამეფო მიწები, რომლებსაც ელ-ქატაი უწოდა. იბნ ტულუნი პატრონაჟს უწევდა ხელოსნობას. მისი ლიდერობა შთამბეჭდავი მშენებლობებით გამოირჩეოდა. მეჩეთი, რომელიც კაიროშია და მის სახელს ატარებს, წარმოადგენს ისლამური არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და გამორჩეულ ეგზემპლარს. მისი მმართველობის დროს აშენდა სასახლეები, სახელმწიფო შენობები, ბაზრები და პირველად პტოლემეური მმართველობის შემდეგ ეგვიპტე კვლავ გადაიქცა დამოუკიდებელ სამხედრო და პოლიტიკურ ცენტრად. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა აღარ იძარცვებოდა იმისათვის, რომ ბაღდადელი ელიტის ფუფუნება დაეკმაყოფილებინა. იბნ ტულუნის მმართველობის შედეგად ეგვიპტე სწრაფად გაძლიერდა. ადგილობრივი არქიტექტორები, ხელოსნები და ვაჭრები გამდიდრდნენ [სამაჰა 2013 : 10]. აღდგა და გაფართოვდა ქრისტიანული შენობები მიყრუებულ და უდაბნო ტერიტორიებზე. ისტორიკოსი მას'უდი ეგვიპტეს იბნ ტულუნის მმართველობის დროს ეწვია და დეტალურად აღწერა საირიგაციო სისტემები. მან აღწერა 14 სექტემბერს დაწყებული არხებისა და დამბების მშენებლობა დელტაში და მათი დახურვა იანვარში [ქამილი 2002 : 236-237].

„ნათლობის ღამე“ – რიტუალი, რომელიც მომდინარეობს მდინარე იორდანეში იესოს ნათლობიდან, არის ერთ-ერთი უდიდესი ცერემონია, რომელზეც ხალხი ფეხით მიდის 10 იანვარს. მე მას ვესწრებოდი 350 წელს (942 წ.), როდესაც მუჰამედ იბნ ტურჯმა ბრძანა, კუნძულის სანაპირო, რომელიც ელ-ფუსტატის საპირისპირო მხარეს იყო, გაენათებინათ 1000 ჩირაღდნით. ამ ჩირაღდნებში არ შედიოდა კერძო განათებები. მუსლიმები და ქრისტიანები, ასობით ათასი ადამიანი, რომლებმაც გაავსეს ნილოსის სანაპირო, გადაჰყურებდნენ მდინარეს, სანაპიროზე მდგარნი, რომლებსაც თან ჰქონდათ ოქროსა და ვერცხლის ჭიქები, მორთულნი იყვნენ სამკაულებით, ლამაზი კაბებით. ყველგან ისმოდა მუსიკის ხმა, რომელსაც სიმღერა და ცეკვა ახლდა. ეს იყო ულამაზესი ღამე. ხალხის უმრავლესობა ნილოსში ბანაობდა. მათ იცოდნენ, რომ ამ ღამეს ნილოსში ბანაობა ყველა დაავადებას განკურნავდა“ [ქამილი 2002 : 237].

სამწუხაროდ, იბნ ტულუნის შთამომავლები სუსტი ლიდერები აღმოჩნდნენ. ამას დაერთო კატასტროფული მიწისძვრა 954 წელს, რამაც ეკონომიკას დაღი დაასვა. ამავდროულად, ჩამოყალიბდა ახალი, ძლევამოსილი სახალიფო თუნისში. მისმა მეოთხე ხალიფამ, ალ-მუ'იზმა, 969 წელს ეგვიპტეში გააგზავნა უზარმაზარი არმია [ქამილი 2002 : 237-239].

ჩრდილო–აფრიკელმა ფატიმიანებმა გამოაცხადეს პირდაპირი შთამომავლობა მუჰამედთან მისი ქალიშვილის, ფატიმას, ხაზით. შესაბამისად, საკუთარი თავი გამოაცხადეს მუსლიმური სამყაროს სამართლიან მმართველებად. ეგვიპტე, რომელიც გამოფიტული იყო შავი ჭირის, შიმშილისა და სამოქალაქო არეულობების გამო, ადვილად დამარცხდა. ელ-ფუსტატი და ელ-ასკარი დაიპიყრეს. ქვეყანას ახალი დინასტია, ფატიმიანების დინასტია ჩაუდგა სათავეში, რამაც ორსაუკუნოვან განვითარებას დაუდო სათავე. ლიდერებმა მუშაობა დაიწყეს ახალი სამეფო მიწის გამოყოფით, რომელსაც ალ-კაჰირა უწოდეს, საიდანაც მომდინარეობს სიტყვა კაირო. ასევე 970 წელს დააარსეს ალ-აზჰარის მეჩეთი, რომელიც დაარსების დღიდან გახდა ისლამური სწავლების ცენტრი. კაირო ცნობილი გახდა საკუთარი მინის, კერამიკის და ძვლის წარმოებით. ალექსანდრიაში უზარმაზარი ფული ტრიალებდა, რადგან ის წარმოადგენდა სავაჭრო გზას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ჩამოყალიბდა საშუალო კლასი. მოგზაურები აღწერენ 5-6 სართულიან სახლებს, ბაღებითა და ყვავილებით გარშემორტყმულს. საჯარო წესრიგი იმდენად მაღალ დონეზე იყო, რომ ძვირფასეულობით მოვაჭრეებს და მევახშეებს საკუთარი სავაჭრო ადგილების კარები მუდმივად ღია ჰქონდათ. სახალიფოს ოფიციალურ წარმომადგენელთა დიდი ნაწილი იყო ორენოვანი კოპტი [სელეუ 2019 : 1–23]. ხალიფას სასახლე იყო მოოქროვილი და მომინანქრებული, ხოლო დარბაზები აბრეშუმითა და ძვირფასი თვლებით იყო მორთული. ბევრი მდიდარი ვაჭარი იყო კოპტი და ზოგიერთი მათგანი მაღალ სახელმწიფო პოზიციაზეც ავიდა. ფატიმიანთა დროს არსებული, პატივისცემაზე დაფუძნებული მუსლიმურ-კოპტური ურთიერთობები შესანიშნავად აქვს აღწერილი პატრიარქ კიროსს 1086 წელს, რომელმაც დაარიგა კოპტები, ეცხოვრათ სათნოებით და დაეცვათ ქვეყნის კანონები და სოციალური განაწესები. საუკუნის სული, ბევრ სხვა დამახასიათებელ ნიშანთან ერთად, გამოიხატებოდა სახელმწიფო უწყებებში კოპტების დასაქმების სიხშირითა და ქრისტიანულ ნადიმებში მუსლიმთა მონაწილეობით [ქამილი 2002 : 237].

ფატიმიანთა მმართველობის პერიოდში, პატრიარქ აბრაამ ბენ ზარას დროს, აღდგა ძველი კაიროს დაკიდებული ეკლესია და მოგვიანებით, როდესაც 1049-1078 წლებში, კოპტური

საპატრიარქო ვადი ელ-ნატრუნიდან კაიროში გადავიდა, შეიძინა სხვადასხვა დამახაიათებელი ნიშანი. შესასვლელი კარიბჭე, რომელიც კიბეებისკენ მიდის და გზას უჩვენებს დარბაზისაკენ, მორთეს პრიალა ქვებით. ის გამოირჩეოდა უნიკალური და მსოფლიოში განთქმული ხის შიდა სამუშაოებით, სადაც კედარსა და სპილოს ძვალს იყენებდნენ საკურთხევლის ზედაპირის მოსაპირკეთებლად, რომელიც შემდეგ არქიტექტურულ-დიზაინურად დამუშავდა და საბოლოოდ ჯვრის ფორმა მიიღო. ეს ელეგანტური შენობა გადაიქცა არჩევნების, გადაყენების, კურთხევის ადგილად პატრიარქებისთვის და თეოლოგებისთვის, ის აგრეთვე წარმოადგენდა სამართალმცოდნეებისა და ასტრონომების ცენტრს. სინოდის რეგულარული შეკრებებიც სწორედ აქ იმართებოდა. შენობას დაემატა მეორე სართული პილიგირმთა საცხოვრებლად [ქამილი 2002 : 241].

ხელოვნება და არქიტექტურა ზენიტში იყო. მაშრაბია – ზედაპირის მოპირკეთების წესი, რომელიც შედგებოდა მცირე ფანჯრებისაგან, დიდი სიზუსტით დალაგებული ხის სეგმენტებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ლურსმნის ან წებოს გარეშე ერთდებოდა, მიჩნეული იყო ისლამური არქიტექტურის ქვესახეობად, თუმცა, რეალურად, არქიტექტურის ეს სტილი ადგილობრივ მშენებლობაში გამოიყენებოდა ჯერ კიდევ IV საუკუნიდან. რკინისა და ბრინჯაოს მცირე საწარმოებიდან გადავიდნენ უმაღლესი ხარისხის ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, სპილენძისა და რკინის წარმოებამდე. ამის მაგალითები ადვილად შეგვიძლია ვიხილოთ როგორც კოპტურ, ასევე ისლამურ მუზეუმებში – საპატრიარქო ნივთები; ჯვართა უზარმაზარი და უძვირფასესი კოლექცია; საკეტებისა და გასაღებების კოლექციები, რომლებიც ერთ დროს მონატრის კარებზე იყო; სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი და ზარი. განსკაუთრებით აღსანიშნავია მეტალის სამი ლამპა, რომელთაგან ორზე გამოსახულია ჯვარი, როგორც დეკორაცია, ხოლო მესამეს აქვს ფარაონ ანხის სიმბოლური ჯვარი [ქამილი 2002 : 241].

მქსოველები ძალიან მაღალმოთხოვნადი ადამიანები იყვნენ. მატყლი, აბრეშუმი, მუდმივ მოთხოვნაში იყო. წარმოება გაფართოვდა. დუმიატი, ელ-ფაიუმი, ჰერმოპოლისი, ასიუტი და ახმიმი უძველესი ხანიდან ბერძნულ-რომაულ პერიოდამდე იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი ტექსტილის წარმოებაში. ხელოსნები ტექსტილს როგორც კოპტი პატრიარქების, ისევე მუსლიმი ხელმძღვანელებისთვის კერავდნენ. მას შემდეგ, რაც არაბულმა უფრო მეტი გამოყენება პოვა, ქუფური ხელნაწერი ჩაერთო დიზაინის შექმნაში. ბოდლეს ბიბლიოთეკაში შესწავლილმა პაპირუსებმა აჩვენა, რომ ის, რაც ადრე მიიჩნეოდა ალქიმიად,

რეალობაში წარმოადგენდა მარტივ სახელოსნო ტექნოლოგიას და სავაჭრო საიდუმლოებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოკულტის მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვები, ბევრ ანტიკურ ტექსტში წარმოადგენდა მეტალურგიულ და ქიმიურ ოპერაციებს [ქამილი 2002 : 241].

ფატიმიანთა მმართველობა დამარცხდა ალ-ჰაქიმის დროს 1008 წელს. დღევანდელი ჟარგონით, ეს იყო ექსტრემისტი, რომელსაც შუა საუკუნოვანი არაბი ისტორიკოსები, როგორც შეშლილს, ისე მოიხსენიებენ. იგი აღსავსე იყო ქსრიტიანთა და ებრაელთა ზიზღით. მან დაავალდებულა ისინი, ეტარებინათ მძიმე ჯვარი, ხოლო მოგვაინებით სურათი ოქროს ხბოს ნიშნით. მან აუკრძალა ქალებს ფეხსაცმლის ტარება იმისთვის, რომ ისინი სახლში გამოეკეტა, მან მათ საჯარო აბანოების გამოყენებაც კი აუკრძალა, რათა ჭორაობა შეემცირებინა. მან ქალებს ზოგიერთი საჭმლის ჭამაც აუკრძალა. კოპტები საჯარო სამსახურებიდან გაათავისუფლა და 3000 ეკლესიის განადგურება ბრძანა. მათ შორის იყო წმინდა შენუდას თეთრი მონასტერი, რომელიც მეჩეთად გადააკეთეს და ეკლესია მასში XIV საუკუნემდე ვერ დაბრუნდა. კოპტები, რომელბსაც საკუთარი სიცოცხლის დაკარგვის შეეშინდათ, მღვიმეებში და მიყრუებულ ტერიტორიებზე დასახლდნენ. ვინც მოასწრო, მონასტრულ დასახლებებს შეაფარა თავი. ალ-ჰაქიმი ერთ ღამეს მისტიურად გაუჩინარდა მაშინ, როცა მოკატამის მთებში მარტო ჯირითობდა. მისმა შთამომავალმა, ალ-ზაჰირმა, გააგრძელა არამუსლიმთა მიმართ ტოლერანტულობა, რასაც მოჰყვა ეკლესიების მშენებლობის ხელახალი აღორძინება [ქამილი 2002 : 243].

თავი III. კოპტები საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე

მითები და ლეგენდები კარგად გადმოგვცემს სოციალურ და პოლიტიკურ რეალობას, სასწაულებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მუკატამის სიძლიერესთან, ფატიმიანთა პერიოდის ტოლერანტობასა და კეთილგანწყობასთან. წმინდა სიმონის უძველესი ხელნაწერები, რომლებიც შემონახულია წმინდა ანტონის მონასტერში, წითელ ზღვასთან, აღწერს ხალიფა მუ'იზის სასწაულს. იგი დიდად მოწადინებული იყო ინტელექტუალურ დისკუსიებში ჩართულიყო, განსაკუთრებით კი, თუ ეს ეხებოდა რელიგიურ საკითხებს. ის ხშირად ღიად იწვევდა ქრისტიან და ებრაელ რელიგიურ ლიდერებს საჯარო დისკუსიებში. ერთ-ერთი ასეთი დებატების დროს, 979 წელს, მან ჰკითხა პატრიარქ ეფრემს, იყო თუ არა ის, რაც სახარებაში წერია, სიმართლე, რომ, თუ ადამიანს აქვს რწმენა, მის სიტყვას შეუძლია მთა შეარყიოს. როდესაც პატრიარქმა თქვა, რომ ეს იყო სიმართლე, მაშინ ხალიფამ მისცა მას ოთხი ალტერნატივა: ან შეესრულებინა ეს მცნება და შეერყია მთა, ან უარი ეთქვა თავის რწმენაზე და მიეღო ისლამი, ან გადასახლებულიყო ემიგრაციაში ან განგმირავდნენ მახვილით. ეს იყო ნამდვილად რთული არჩევანი. დაკიდებულ ეკლესიაში სამღვდელოება და ბერები შეიკრიბნენ და 3 დღე გაატარეს მარხვასა და ლოცვაში. მესამე საღამოს კი დაღლილ პატრიაქრს ჩაეძინა და სიზმრად გამოეცხადა ღვთისმშობელი,

რომელიც დაჰპირდა მას დახმარებას [რუბინი 2004 : 1–18]. ის უნდა გასულიყო ქუჩაში, სადაც იპოვიდა ცალთვალა კაცს, რომელიც ეზიდებოდა წყალს. პატრიარქმა გაითვალისწინა ეს დარიგება. მან ნამდვილად იპოვა ერთი ასეთი ღვთისმოსავი კაცი, რომელიც თავის თავს უწოდებდა სამაანს. მას მოჰქონდა წყლით სავსე თხის ტყავი, რომელიც მხრებს უსველებდა. ამ ღვთისმოსავმა კაცმა უთხრა პატრიარქს, რომ ის დაიბადა ორი თვალით, მაგრამ შემდგომ მან ამოიგდო ცალი თვალი, რადგან ერჩივნა, რომ შესულიყო სამოთხეში ცალი თვალით, ვიდრე წასულიყო ჯოჯოხეთში ორი თვალით. მან უთხრა პატრიარქს, რომ ის ყოველ დღე იღვიძებდა ადრე და მიჰქონდა წყალი მოხუცებთან და ავადმყოფებთან და რომ ის მუშაობდა საღებავის ქარხანაში (მითის მეორე ვერსიით, ტყავის ქარხანაში), იღებდა მცირეოდენ საკვებს, დღის ბოლოს წყალს ურიგებდა უპოვრებს მანამ, სანამ შინ დაბრუნდებოდა სალოცავად. მან პატრიარქს უთხრა, რომ ის ნამდვილად მთელი ღამის განმავლობაში ფეხზე დამდგარი ლოცულობდა. როდესაც პატრიარქი დარწმუნდა მისი ნათქვამის სანდოობაში და აღარ ჰქონდა არანაირი ეჭვი, გაანდო მას თავისი დაუჯერებელი იდეა. სამაანმა მიუგო მას, რომ მას არ ეშინოდა და გაუძღვებოდა დიაკვნებისა და ეპისკოპოსების პროცესიას ჯვრებით, სახარებით და სანთლებით ხელში მთამდე. მან ურჩია პატრიარქს, რომ მოეწვია ხალიფა და მისი ამალა, რათა თან გაძღოლოდა მათ. ერთი ჯგუფი უნდა მდგარიყო მთის ერთ მხარეს, ხოლო მეორე ჯგუფი – საპირისპირო მხარეს. რაც შემეხება მე, თქვა მან, „მე ვიდგები ხალხს შორის, ვერავინ შემამჩნევს“. დაინტერესებულთა დიდი ამალა მიჰყვებოდა პატრიარქს, გარდაისახა თუ არა პირჯვარი, მოულოდნელად ძლიერმა მიწისძვრამ შეარყია ქალაქი, ხოლო მოკატამის გორაკი ამაღლდა და მზემ მის ქვემოთ გამოანათა. შემდგომ კი ის დაუბრუნდა თავის ადგილს. ეს იყო ნამდვილი სასწაული. ხალიფა ელ-მუ'იზმა აღიარა პატრიარქის რწმენა. ეფრემმა მიიღო ასევე წმინდა მერკურის მთაზე ეკლესიის აშენების ნებართვა. ამის შემდგომ პატრიარქმა გარშემო მიმოიხედა, ის წმინდა სამაანს ეძებდა, თუმცა წმინდანი არსად ჩანდა [ქამილი 2002 : 243-244].

წმინდა მერკურის ეკლესია, რომელიც გარემონტდა, თავდაპირველად წარმოადგენდა რომაულ სალეგიონეს, რომელიც დეციუსის დროს აშენდა. ის გარდაიცვალა და დაიმარხა პალესტინაში. ის პირველად ეგვიპტეში იმ ადამიანებმა აღიარეს, რომლებიც ემორჩილებოდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიას. აღდგენის შემდეგ უზარმაზარი და ულამაზესი ტაძარი კოპტების მიერ აღიარებულ იქნა, როგორც სიწმინდე და წამებულთა მცველი. მუდმივად განვითარებად ლეგენდაში მერკურის მისცეს მეორე კაშკაშა ხმალი, რომლითაც მას წარმართობის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. ის ტრადიციულად ხატმწერობაში ნაჩვენებია, როგორც დამარცხებულ მეტოქეზე

ორივე ხელით მიბჯენილი ხმლით. ტაძარმა მაშინ მოიპოვა პრესტიჟი, როდესაც 1080 წელს ბადრ ელ-დინ ელ-ჯამალის მოწვევით შეიკრიბა 47 მღვდელი, რათა განეხილათ საეკლესიო საკითხები [ქამილი 2002 : 444].

აუცილებლად უნდა განვიხილოთ ჯვაროსნული ლაშქრობები, რომლებმაც საკმაოდ დააზიანა ეგვიპტე. ფრანკები შემოვიდნენ ეგვიპტეში და დაიკავეს მისი ტერიტორიის უმეტესობა. დაამყარეს კონტროლი ქვეყანაზე, კლავდნენ მოსახლეობას, შეურაცხყოფდნენ ქალებს, ძარცვავდნენ მოსახლეობას. ამ ყველაფერმა მძიმე კვალი დატოვა მუსლიმებზე. მათი გულები აივსო ქრისტიანთა მიმართ სიძულვილით, მნიშვნელობა არ ჰქონდა ქრისტიანთა წარმომავლობას. აქედან გამომდინარე, მოსახლეობამ უმიზეზოდ შეიძულა კოპტებიც. თავის მხრივ კი, ფრანკები განურჩევლად ხოცავდნენ მოსახლეობას, ქრისტიანები იყვნენ თუ მუსლიმები [რუვილა 1898 : 157-158].

ომის გაგრძელება საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ხელისუფლებას არ გააჩნდა საკმარისი ფინანსები, რათა გაეგრძელებინა ომის დაფინანსება. ამიტომ მათ გადაწყვიტეს ფულის შეგროვება მოსახლეობისგან. ამ მხირვაც მძიმე დღეში აღმოჩნდნენ კოპტები, რადგან მათ იძლებულს ხდიდნენ, გაეყიდათ თავიანთი ქონება და გადაეხადათ ის გადასახადი, რომელსაც ითხოვდა მათგან ხელისუფლება. ამის გამო ბევრი მათგანი დარჩა უკიდურესად გაჭირვებული [რუვილა 1898 : 158 -159].

ფატიმიანთა ბოლო ხალიფას მფარველობის ქვეშ მყოფმა ვეზირმა, შავარმა, როდესაც დაინახა ჯვაროსნების მხრიდან ამგავრი შევიწროვება, გადაწვა ელ–ფუსტატი თავიდან ბოლომდე, რათა ის აღარ ყოფილიყო ფრანკთა სამხედრო ბანაკი. ეს დიდ უბედურებად დაატყდათ თავს კოპტებს, რადგან ამ ქალაქის მოსახლეობის უმეტესობას კოპტები შეადგენდნენ. ამ გადაწვის შედეგად ბევრი მათაგნი დაიღუპა, ხოლო ვინც გადარჩა, დატოვა ეს მიწა და არავინ იცის, სად გადასახლდა. ამბობენ, რომ მოგვიანებით ისინი დახოცა შავარმა. თუმცა ეგვიპტის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი, შავარი მოკლა ქურთი მხედართმთავრის, სალაჰ ად-დინის ბიძამ, ასად ად-დინ შირკუჰმა, რომლის შემდეგაც სალაჰ ად-დინი იწყებს ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლას [რუვილა 1898 : 159-160].

ფატიმიანთა დინასტიის ძალა იდგა მის დაქირავებულ ჯარისკაცებზე, რომლებიც იყვნენ სხვადასვხვა ერის წარმოამდგენლები – ბერბერები, სუდანელები, თურქები. მათ შორის

დაპირისპირება ძალზედ მძაფრი იყო. მომრავლდა ინტრიგები და მკვლელობები ვეზირებს შორის, რომლებიც საკუთარი ამბიციების მისაღწევად ქრთამავდნენ ჯარისკაცებს. ეს ყველაფერი მანამ გაგრძელდა, სანამ ქურთი მეომარი, სალაჰ ად-დინი გამოჩნდა და დააარსა აიუბიანთა დინასტია. მას, როგორც სალადინს, ისე იცნობდნენ. მისი სახელი ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მან ჯვაროსნები დაამარცხა და დაასრულა ფატიმიანთა სახალიფო. ეს იყო უკანასკნელი არაბული დინასტია, რომელიც ეგვიპტეს მართავდა. სალაჰ ად-დინმა მიიღო ზომები, რომლებსაც ხანგრძლივი ეფექტი ჰქონდა ეგვიპტის მომავალზე. მისი კონტროლის ქვეშ ეგვიპტე, როგორც მუსლიმური სამხედრო ძალის, ასევე ისლამური კულტურის ლიდერი ქვეყანა გახდა. ჯვაროსნების შემოტევისაგან ეგვიპტის დასაცავად მან კაიროში ციტადელი ააგო, რაც დღემდე კაიროს ღირსშესანიშნაობაა. მან განავითარა სავაჭრო საქმიანობები უზარმაზარ მასშტაბებში. ის არ ახდენდა არც ერთი რელიგიური სექტის დისკრიმინაციას. კოპტები მას პატივს სცემდნენ იმიტომ, რომ მისი დაცვის შედეგად მათ მუშაობა შეეძლოთ უამრავ სახელმწიფო სამსახურში და თავისუფლად შეეძლოთ ეკლესიების ხელახალი აშენება. ეს იყო კოპტური იდენტობის ხელახალი აღმოცენება. სხვადასხვა თარჯიმნის მიერ არაბულენოვანი კოპტი მოსახლეობისთვის არაბულად ითარგმნა სალიტერატურო ლექსიკონების კრებული, დაიწყო ენციკლოპედიათა მასობრივი გამოშვება, არაბულად ასევე ითარგმნა კოპტური სვინაქსარი, ალექსანდრიის პატრიარქთა ისტორია და სხვ. ამასთან ერთად, არაბულად ითარგმნა ადრინდელი ბიოგრაფიებიც, დაწერილი როგორც კოპტურ, ასევე ბერძნულ ენებზე. აბუ ელ-მუფადდალ იბნ ელ-‘ასალი, კოპტი მწერალი და ლინგვისტი, იყო მწერალთა ჯგუფის სულიერი ლიდერი. ამ ჯგუფის წევრები საკუთარ თავს ავლად ელ-‘ასალს უწოდებდნენ, რაც თაფლის დამამზადებლის შვილებს ნიშნავს. ამ ჯგუფმა დეტალურად აღწერა კოპტი ხალხის კანონები, ტრადიციები და კულტურული ნორმები. წევრებს შორის იყო ელ-სარფი იბნ ელ-‘ასალი, რომელმაც შეადგინა კოპტური კანონების ძირითადი კრებული, რომელიც გახდა კოპტური საეკლესიო კანონის ბაზისი. კოპტური აკადემიური სწავლებები შეუწყვეტლად გრძელდებოდა. აბუ შაკირ იბნ ელ-რაჰიბმა, ცნობილმა მრავალენოვანმა მწიგნობარმა, რომელიც 1260 წელს დიაკვანი გახდა დაკიდებულ ეკლესიაში, შექმნა კოპტური გრამატიკა და ლექსიკონი. დაწერა ტრაქტატი წმინდა სამებაზე და შექმნა ისტორიის წიგნი [ქამილი 2002 : 247].

სალაჰ ად-დინმა დაიქირავა ჯარისკაცები, რომლებიც ხელშეუხებელ ციტადელზე განათავსა, მისცა უზარმაზარი შეწირულობები მათ ლიდერებს. მან ასევე დაიწყო მონათა შემოყვანა, რომლებიც ხალიფებისა და სულთნების დაცვას წარმოდგენდნენ. ისინი მამლუქების

წინამორბედები იყვნენ, რომლებიც პრივილეგირებულ, მაგრამ არასაშთამომავლო მმართველ კასტად ჩამოყალიბდნენ, რომლებმაც ლიდერობა საკუთარ ხელში აიღეს და, როგორც ხალიფები, ისე მართავდნენ ეგვიპტეს 1250 წლიდან. ისინი მიწათმფლობელებიც იყვნენ, რომლებიც, როგორც დაქირავებული მეომრები, ისე იბრძოდნენ. მათი ძალაუფლება ეგვიპტეში საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა, მანამ, სანამ ისინი მუჰამედ ალიმ არ გაანადგურა. მუჰამედ ალი XIX საუკუნეში თანამედროვე ეგვიპტის ფუძემდებელია. მამლუქთა პერიოდში ეგვიპტეში დამკვიდრდა განსხვავებული სტილის მშენებლობები. იმ პერიოდის სახლები და მეჩეთები წარმოადგენდა კაიროს ყველაზე თვალშისაცემ და ყველაზე კარგად შემონახულ მონუმენტებს. ხელოსნების, მქსოველების, ვაჭრების და მოსამსახურეების შემოსავლები ყველა დროის მაქსიმუმს აღწევდა. ამით კი კოპტებიც იღბდნენ შემოსავალს, მაგრამ მამლუქებს თითქმის არც ესმოდათ და არც თანაგრძნობა ჰქონდათ ქრისტიანების მიმართ. მათ არაერთხელ სცადეს მათი სახელმწიფო პოსტებიდან განთავისუფლება. სალაჰ ად-დინის ქვეყნის გარეთ არსებული სამხედრო დიქტატურა იყო შემავიწროვებელი, სისხლისმსმელი და სამოქალაქო არეულობებით სავსე. არაგონივრული მართვის შედეგად ხალიფა ელ-ნასერის სიკვდილის შემდეგ, 1341 წელს, ნელი და მყარი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნის დასასუსტებლად. აირია საჯარო დისციპლინა, გაქრა უსაფრთხოება, დაინგრა საირიგაციო სისტემები, ამოივსო არხები [ქამილი 2002 : 248].

მას შემდეგ კატასტროფა მოულოდნელად ეწვია ეგვიპტეს. შავი ჭირი შევიდა ეგვიპტეში 1349 წელს და სწრაფად გავრცელდა დელტასა და ზემო ეგვიპტეში. მაიკლ დოლსი 1977 წლის საკუთარ ნოველაში „შუა აღმოსავლეთის შავი სიკვდილი“ არაბულ წყაროებს იმოწმებს და აღწერს დელტას ქალაქს, ბილბეიშს, რომელიც მნშვნელოვანი საქარავნო სადგური იყო კაიროსა და პალესტინას შორის, სადაც უამრავი გვამი იყო მიყრილი დიდებული მეჩეთის კედლებზე და მათ ძაღლი შეექცეოდა. ბაღები და საირიგაციო სისტემები მიტოვებული იყო. მიწათმოქმდეთა არარსებობის გამო სახელმწიფო საკუთრებები, რომლებიც კაიროს გარეუბნებში მდებარეობდა, იყო ცარიელი და ნანგრევებს ემსგავსებოდა. ზემო ეგვიპტეში მოსახლეობის მკვეთრი შემცირების გამო მიატოვეს საირიგაციო სისტემები, რამაც გამოიწვია როგორც სასმელი, ასევე სამიწათმოქმედო წყლის არარსებობა, რამაც თავისთავად შიმშილი გამოიწვია. ხალიფების მშიერმა ჯარისკაცებმა აჯანყება მოაწყვეს და ეკლესიები და სასახლეები გაძარცვეს. დაავადება ასევე შეეხო ცხოველებსაც. გასათვალისწინებელია ის, რომ გარეუბნები ძირითადად ხარსა და ვირზე იყვნენ დამოკიდებულნი. ამან კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია. ეპიდემიამ გამოიწვია 600 ადამიანის სიკვდილი ერთ-ერთ სოფელში, ზემო ეგვიპტეში. ხოლო სოფელში, რომელშიც

გადასახადები 6000 ადამიანისგან გროვდებოდა, ეპიდემიის შემდეგ გადასახადის გადახდა 116 ადამიანმა შეძლო. 24 000 ერთეული პროდუქტიული მიწიდან ლუქსორში მხოლოდ და მხლოდ 1000–ის აღწერა მოხდა 1389 წელს. კენასა და ნეჯ-ჰამადანს შორის არსებულ ტერიტორიებზე გარდაიცვალა 15 000 მცხოვრები. მიწათმფლობელებიც, მუშებიც, ხელოსნებიც, ვაჭრებიც, მუსლიმებიც, ქრისტიანებიც, ყველანი ერთნაირად იტანჯებოდნენ. სოფლები, ქალაქები, დასახლებები კრიზისში იყვნენ. მონასტრებმა, რომლებიც სამეურნეო მიწებთან მდებარეობდა, მძიმე დარტყმა განიცადა. თეთრი მონასტერი მიტოვებული და ნანგრევების პირას იყო მისული. ვადი ელ-ნატრუნის ბერები სიღატაკის ზღვარზე იყვნენ. მას შემდეგ, რაც სასოწორმკვეთი შავი ჭირი დასრულდა, მიწათმფლობელებმა დაიწყეს სოფლის მეურნეობის ხელახალი განვითარება. მათ დაისაკუთრეს მიტოვებული მიწები, ცარელი ეკლესიები სკოლებად და მეჩეთებად აქციეს. შექმნეს ახალი წყაროები. კოპტები მაქსიმალურად ცდილობდნენ კვლავ კომპაქტურად დასახლებულიყვნენ, მაგრამ, როგორც ალ-მაკრიზი ამბობს, იმ პერიოდში გაიზარდა გადასახადები და ბერებს წაერთვათ საეკლესიო საკუთრებები. ერთ დროს წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც ახმიმში მდებარეობდა, დაანგრიეს და ააშენეს სახლები ხელოსნებისა და მუშებისათვის. ურთიერთობები კოპტებსა და მუსლმებს შორის კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც კოპტებს აეკრძალათ დანგრეული ეკლესიების აღდეგნა, ამასთანავე, მათ აუკრძალეს ახლების აშენებაც. კოპტური ენა მალევე გაქრა [ქამილი 2002 : 248-250].

1498 წელს, როდესაც ვასკო და გამამ მიაღწია ინდოეთს, დასვალურმა კულტურამ დატოვა აღმოსავლეთი შუამდინარეთი და გახსნა ახალი სავაჭრო მარშუტები აღმოსავლეთში. ერთ წამში ეგვიპტემ დაკარგა საკუთარ პოზიცია, როგორც მსოფლიოს გზაჯვარედინმა. სიტუაცია, რომელსაც სამონასტრო კომპლექსებში ვხედავთ, სარკისებურად აღწერდა კოპტური ეკლესიის მდგომარეობას შუა საუკუნეებში. იყო პერიოდები, როდესაც მონასტრებს თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ბედუინები. ზოგიერთი მათგანი ხელახლა ააშენეს. ვადი ალ-ნატრუნის მონასტრები, რომლებსაც ყველაზე მეტად გაუჭირდათ XIV საუკუნეში შავი ჭირის გამო, ახლა ბედუინებისგან იღებდნენ დარტყმებს. ალ-მაკრიზი აღწერს, რომ მხოლოდ და მხოლდო 7 ეკლესია გადარჩა იქ, სადაც 100–ზე მეტი მონასტერი იყო. დღესდღეობით მხოლოდ ოთხი მათგანია შემორჩენილი [ქამილი 2002 : 250].

არაბთა მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ქვეყანაში აღინიშნებოდა 3 რელიგიის დღესასწაულები - იუდაური, კოპტური და მუსლიმური. ამ ყველაფრის გვერდით კი ეგვიპტეში

აღინიშნებოდა არაერთი სახალხო დღესასწაული, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა არც ერთ რელიგიასთან. ეგვიპტელები, იქნებოდნენ ესენი მუსლიმები თუ ქრისტიანები, თანაბრად მონაწილეობდნენ ყველა ქრისტიანულ და მუსლიმურ დღესასწაულში. ამ ყველაფერს ზოგჯერ იმითაც ხსნიან, რომ ეგვიპტეში ცხოვრობდნენ როგორც არაბი, ასევე ეგვიპტელი მუსლიმები. მორწმუნე ქრისტიანთა შორის გამორჩეული მღვდლის, აბუ იასერ იბნ კასტალის ცნობებიდან ვიგებთ, რომ მისი მოძმე კოპტების ადათებმა და რელიგიურმა ტრადიციებმა დიდი ცვლილებები განიცადა. ის წერს, რომ ქორწინების შემდეგ მამაკაცსა და მის ცოლს შორის თავს იჩენდა კონფლიქტები და წინააღმდეგობები, რომელსაც იწვევდა ოჯახური სიწმინდის უპატივცემულობა და ზოგიერთი იმამის მოსახლეობისადმი დაპირისპირება, რასაც იწვევდა ქორწინების გარეშე თანაცხოვრება, რაც ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა კოპტებს შორის. პრობლემას წარმოადგენდა ასევე ის ფაქტიც, რომ ამგვარი ურთიერთობის შედეგად დაბადებულებს ართმევდნენ მემკვიდრეობის უფლებას. ამ უთანხმოებებს იწვევდა ისიც, რომ საქმროს და საცოლეს ეკრძალებოდათ ერთმანეთის ნახვა ქორწინების გაფორმებამდე. იკრძალებოდა დაძალება, რომ დაოჯახებულიყვნენ ისეთ პიროვნებებზე, რომლებთან ოჯახის შექმნის სურვილი არ ჰქონდათ, თუ ეს მხოლოდ ოჯახის ინტერესებში შედიოდა. ის მიუთითებს, რომ ნიშნობამდე საქმროს და საცოლეს ეძლეოდათ შანსი, რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს და საკუთარი სურვილისამებრ მიეღოთ გადაწყვეტილება ქორწინებასთან დაკავშირებით, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა იძულებითი. ამის შემდეგ კი ქალი და მამაკაცი ბედნიერად და მშვიდად ცხოვროდბნენ ქორწინებაში. ამ ყველაფერმა ბოლო მოუღო ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას და იმამებისა და ხალხის დაპირისპირებას [რუვილა 1898 : 149-150]. მან ასევე შენიშნა, რომ არაერთი ტრადიცია, რომელიც გავრცელებული იყო კოპტებთან, არ იყო მათი ძირძველი ტრადიცია და ის განვითარდა კოპტებში ეგვიპტის არაბთა მიერ დაპყრობის შემდეგ, მაგალითად, თმის შეჭრა და წინადაცვეთა, რომელიც გავრცელებული იყო ზოგიერთ რეგიონში. არ იყო ნებადართული ბავშვის ნათლობაც, თუ მას არ ჰქონდათ ჩატარებული წინადაცვეთის რიტუალი. ეს ტრადიცია გამოცხადდა, როგორც სახალხო ტრადიცია, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა რელიგიასთან და ის არ ავალდებულებდა ქრისტიანებს, რომ ჩაეტარებინათ წინადაცვეთა. ის ელოდა სამღვდელოების მხარდაჭერას, რათა ერთიანი ძალებით მიეღწიათ ამ ტრადიციის გაქრობისთვის, თუმცა მას მოლოდინი არ გაუმართლდა. მას დაუპირისპირდა სამღვდელოება. მათ მისი ეს რეფორმები ერესად გამოაცხადეს და შეაჩვენეს მანამ, სანამ უარი არ ათქმევინეს თავის განზრახვაზე. მან დაწერა წერილები, რომლითაც ამტიკეცბდა თავის უდანაშაულობას,

თავისი აზრის სისწორეს. ხოლო, როდესაც ვერ სძლიეს მას თავისი არგუმენტებით, მოკვეთეს და გააგდეს თავისი მონასტრიდან, რომელიც ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მონასტრად და რომლშიც მან საკუთარი სახსრებით ააშენა უდიდესი და ულამაზესი ბაღი. სწორედ ამ მონასტრიდან გააძევეს ის ძალითა და იძულებით. ამის შემდეგ ის ცხოვრობდა უკიდურეს გაჭირვებაში და გარდაიცვალა დამცირებული და უმწეო. და ასე შესწირა ამ საბრალომ თავისი ცხოვრება რეფორმებისა და ცვლილებების განხორციელებას. ის ბაღი, რომელიც მან ააშენა, ცოტა ხნით იყო პატრიარქის საკუთრებაში და ერთხელაც, როდესაც ფატიმიანთა დინასტიის ერთ-ერთი ხალიფა ალ-ჰაფიზი ეგვიპტის გარეუბნებში სეირნობდა, მან აღმოაჩინა ეს ბაღი, მოეწონა და, როდესაც გაიგო, რომ პატრიარქის პირად საკუთრებას წარმოადგენდა, ჩამოართვა ის, გააფართოვა, გააუმჯობესა და იქ ააშენა ლამაზი ციტადელი და კიდევ ახალი ბაღი, რაც გადააქცია ხალიფების პირად მოსასვენებელ ადგილად [რუვილა 1898 : 150-151].

როდესაც ვსაუბრობთ არაბთა შესვლაზე ეგვიპტეში, ჩვენ უნდა განვიხილოთ ის იდეოლოგიები და მიდგომები, რომლებიც გამოიცადა მზარდ მოსახლეობაზე. ჩვენ ხშირად ვერ აღვიქვამთ ადგილობრივთა ტრადიციების გავლენას დამპყრობლებზე, თუმცა, როგორც ჩანს, უნდა დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ ეს მოვლენა. როდესაც 525-332 წლამდე სპარსელები აკონტროლებდნენ ეგვიპტეს, მათ შეითვისეს ეგვიპტური დამარხვის პრაქტიკები, რასაც მოწმობს უამრავი გათხრილი საფლავი აბუსირში და პტოლემეური მეფეთა საფლავები, სადაც 3 საუკუნის განმავლობაში ანალოგიურად მარხავდნენ მიცვალებულს. თვით რომაელებიც კი, რომლებიც დაუნდობლად იყენებდნენ ეგვიპტურ კოლონიას, მუმიფუცირებას უკეთებდნენ საკუთარ გარდაცვლილებს, ეგვიპტური სტილის კუბოში დებდნენ და ეგვიპტურ მიცვალებულთა ტექსტებს აწერდნენ. ანტიკური სიმბოლიზმი და რიტუალური პრაქტიკები გადაურჩა კონსტანტინოპოლის მთავრობის მიერ გამოცხადებულ ომს წარმართობასთან [ქამილი 2002 : 251]. პირველი მუსლიმები, რომლებიც გარდაიცვალნენ უდაბნოში, მუსლიმური ტრადიციების მიხედვით დაკრძალეს, მაგრამ საკმაოდ მალე ძველი ეგვიპტელების საფლავების მშენებლობა და საფლავის მონახულების წესი დამპყრობლებმაც აითვისეს. პირველი მუსლიმი რელიგიური პილიგრიმი ეგვიპტეში იყო სამართალმცოდნე ელ-შაფი (767-820 წწ.), რომელიც ელ–ფუსტატში დასახლდა. ის მოკატამის მთის ძირში დაკრძალეს. დღესდღეობით 5000 მუსლიმური დღესასწაული (მავლიდი) აღინიშნება და ზოგიერთი რამდენიმე დღე გრძელდება, ზოგიერთი კი კვირაობით. მიუხედავად იმისა, რომ ისლამს არ ჰქონდა წმინდა ადამიანთა მოხსენიების ტრადიცია, თითქმის ყველა სოფელს ეგვიპტეში ჰყავდა თავისი ძვირფასი შეიხი დამარხული ხის ან

თეთრი გუმბათის ქვეშ. უძველესი დაკრძალვის რიტუალები მუსლიმებსაც და ქრისტიანებსაც მსგავსი ჰქონდათ. გარდაცვლილს მწკრივში მდგომები მიასვენებდნენ, რომელსაც მგლოვიარე ქალები მოჰყვებოდნენ, ზოგჯერ პროფესიონალი დამტირებელიც. სპეციფიკური სახის მოქმედებები ხდებოდა გარდაცვლილის სახლში მე-3 დღეს, მაშინ, როდესაც ლოცვა მიმდინარეობდა. გლოვა 40 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, როგორც ანტიკურ-ქრისტიანულ ხანაში. ყოველწლიური პილიგრიმობა საფლავის მოსანახულებლად ხდებოდა ყვავილობისას. ზოგიერთ ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიაზე საკვები და სასმელი მიჰქონდათ და დგამდნენ საფლავზე. როგორც კაცები, ისე ქალები რეგულარულად მიდიოდნენ თავიანთი ახლობლების საფლავებზე. ხშირად მავზოლეუმში ღამეს ათენებდნენ, მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარს და მის ხორცს პურთან ერთად ადგილობრივ ღატაკებს ურიგებდნენ. ვინ იფიქრებდა, რომ მსგავსი ცერემონია ანტიკური მონანიებისა მსხვერპლშეწირვისაგან მომდინარეობდა. დღეს ის აღიქმება, როგორც მოწყალების გაცემა. ძველი ეგვიპტური ტრადიციები დროთა განმავლობაში გარდაისახა. თუმცა, ამის მიუხედავად, ახალდაბადებული ბავშვები, სოფლების ცერემონიის მიხედვით, კვლავ თავსდებოდნენ სპეციალურ ჭურჭელში – საცერში, რათა განებანათ ბოროტი სულებისგან და დაენათლათ იღბალი [ქამილი 2002 : 251].

ეგვიპტელებს, მუსლიმებსა და ქრისტიანებს აერთიანებდათ ზებუნებრივობის შეგრძნება, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერად იყო მათთან შემორჩენილი. მათ ჯერ კიდევ სჯეროდათ წმინდა თვლების ეფექტურობის, რომელიც იცავდა მათ, განსაკუთრებით, ავი თვალის წინააღმეგ. და მათ სჯეროდათ ბოროტი სულების, ხოლო უმაღლესი შემოქმედის ძალაუფლება ჯერ კიდევ მძლავრი და ადვილი აღსაქმელი იყო მათთვის. ეგვიპტელები ხშირად ანდობდნენ წმინდა ადამიანებს, მღვდლებს ან შეიხებს, რომ მოეხდინათ ამ სულების განდევნა. თუკი ღარიბებს შორის ალაჰისადმი თხოვნები პასუხგაუცემელი დარჩებოდა, მაშინ როგორც ქრისტიანები, ასევე მუსლიმები, როგორც წესი, მწიგნობრებს სთხოვდნენ, რომ შეედგინათ მათთვის პირადი წერილი პირად წმინდანთან, რომელიც იქნებოდა თხოვნებით აღსავსე. თხოვნა შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც დაავადების განკურნება, ასევე პირადი პრობლემების მოგვარება. ეს წერილები ხელმოწერილი არ იყო, რადგან უძველეს პერიოდში, როდესაც წერილს სწერდნენ გარდაცვლილებს ან ადგილობრივ ღვთაებებს, მათი შემსრულებლები მწიგნობრები იყვნენ. ხოლო ადრესატები, რომლებიც წმინდანები ან შეიხები იყვნენ, თვითონ უნდა მიმხვდარიყვნენ, თუ ვისგან იყო წერილი [ქამილი 2002 : 252]. საკუთარი შეიხებისა და წმინდანების პატივსაცემად მუსლიმები და ქრისტიანები პილიგრიმობდნენ წმინდა ადგილებში, რომლებიც ერთმანეთს

ჰგავდა მომზადებასა და რიტუალებში. ეკლესიის ან საფლავის გარშემო იშლებოდა კარვები, ხოლო ტერიტორია ირთვებოდა დროშებით, ბანერებითა და სინათლეებით. მავლიდის წინა ღამეს იმართებოდა ბაზრობები, სადაც სათამაშოები, ტკბილეულობა, ქაღალდის ქუდები, ტანსაცმელი და წიგნები იყიდებოდა. ბავშვებისთვის ეწყობოდა სათამაშო მოედნები და თოჯინების თეატრი. ღამის შთამბეჭდაობას წარმოადგენდა დიდებული ზაფვა, პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ქუჩებში, სადაც ატარებდნენ მუსლიმი შეიხის ან წმინდა ქრისტიანის სურათს. პილიგრიმები მოწყალებას გასცემდნენ, ან საკუთარი ტანსაცმლის ნაგლეჯს ტოვებდენ საფლავზე, ან ხეზე. ხოლო მხიარულებას თან ერთვოდა თამაშები, მუსიკა, ცეკვა, ცხენით ჯირითი, რომელშიც მიწათმფლობელები იღებდნენ მონაწილეობას [ქამილი 2002 : 252].

მუსლიმური დღესასწაული (მულიდი), რომელსაც შა'ბანის თვეში აღნიშნავდნენ ლუქსორში, ძალიან ჰგავდა ძველ ეგვიპტურ ოპეტის ფესტივალს, რომელიც კარგად იყო აღწერილი ლუქსორის ტაძარში. შეიხები გამოდიოდნენ მეჩეთებიდან, რომლებიც რამზეს II–ის მოედანზე მდებარეობდა. თან მოჰქონდათ მცურავი ნავები, რომლებსაც ისინი ურემზე დებდნენ. ისინი ქალაქს რთავდნენ დროშებით, ორნამენტებით. ქუჩებში მხიარული ხალხი დადიოდა. სოფელ დამირას მახლობლად, სადაც წმინდა დემიანი დაიბადა, იყო გორაკი, რომელსაც ეძახდნენ ქაფრს (სასახლე), დამირა ელ-კადიმა (ძველი დამირა). მოსახლეობის უმეტესობა იყო მუსლიმი, თუმცა ბევრ მეჩეთს ჰქონდა სვეტები და არქიტექტურული ელემენტები, რომლებიც ადრეულ ქრისტიანულ დასახლებას მიეწერება. დღესასწაული, რომელიც იმართებოდა, არ იყო ზრდასრული ქრისტიანი ქალწულების პატივცსაცემად, რომლების წამებაც აღწერილია დიოკლეტიანეს პერიოდში. იგი 40 მუსლიმი ჯარისკაცის მოსაგონებლად იყო, რომლებიც ეგვიპტის დაპყრობის დროს დაიღუპნენ. წმინდა გიორგის დღესასწაული, რომელსაც როგორც კოპტები, ისე მუსლიმები აღნიშნავდნენ, ელ-მანსურაში აღინიშნებოდა. იგი ძალზედ წააგავდა ჰეროდოტეს მიერ აღწერილ ბასტეტის ფესტივალს, რომელიც იყო მხიარული ნავის ფესტივალი ცეკვითა და მხიარულებით [ქამილი 2002 : 252-253].

ეგვიპტის ფერადი და პოპულარული ეროვნული დღესასწაული შემ ელ-ნესიმი (სიოს სურნელი) გაზაფხულის პირველი დღის ერთდღიანი აღნიშვნაა, რომელიც მართმლადიდებლური აღდგომის კვირას მოსდევს. ის საკუთარ ფესვებს უეჭველად ქვეყნის უძველეს წარსულში პოვებდა. ხალხი გარიჟრაჟზე იღვიძებდა და აწყობდა პიკნიკს მწვანე ლობიოთი, თევზით, მოხარშული კვერცხითა და მწვანე ხახვით. დეკორაციები და მოხარშული

კვერცხის ჭამა ტრადიციას იმიტომ შეერია, რომ შემ ელ-ნასიმი აღინიშნებოდა აღდგომის მეორე დღეს. ორივე დღესასწაული დაკავშირებული იყო ხელახლა დაბადებასთან; აღდგომის შემთხვევაში – ქრისტეს ხელახალი დაბადება (მკვდრეთით აღდგომა), ხოლო შემ ელ-ნესიმის შემთხვევაში კი – მიწის (გაზაფხულის). იმის გათვალისწინებით, რომ ისლამი, რომელიც მთვარის კალენდარზეა დაფუძნებული, ვერანაირად ვერ შეძლებდა ქრისტიანული დღესასწაულის შეთავსებას, რომელიც მზის კალენდარს ეფუძნებოდა, აშკარაა ის, რომ ეგვიპტელები უფრო დიდი ხნის წინანდელ დღესასწაულს აღნიშნავდნენ [ქამილი 2002 : 253].

ტრადიციებთან ერთად არაბთა დაპყრობის შემდეგ იცვლება და ყალიბდება ახალი გასართობი საშუალებები და თამაშები, მაგალითად, ჭადრაკი – ეს არის ინდური თამაში. როგორც იბნ იასი ამბობს, ‘ამრ იბნ ალ-‘ასი იყო პირველი, რომელმაც შეიტანა ჭადრაკი ეგვიპტეში. არაბები მას უწოდებდნენ „შატრაჟს“ [რამადანი 2008 : 97]; გველების მოთვინიერება – იმ პერიოდში ეგვიპტეში გავრცელდა გველების მოთვინიერების ხელოვნება, რომლის ფარგლებშიც მომთვინიერებლები წარმოდგენას მართავდნენ გველებითა და სხვა ქვეწარმავლებით. ისინი ეგვიპტეში იჭერდნენ დიდი ზომისა და უნიკალური წარმოშობის გველებს. რაც უფრო დიდი და უნიკალური იყო გველი, მით უფრო მეტად ეამაყებოდა მომთვინიერებელს მისი მოპოვება. ისინი თავიანთ ნადავლს სპეციალურ შეკრებებზე გამოფენდნენ, სადაც მწერების და ქვეწარმავლების მოყვარული ადამიანები იკრიბებოდნენ. მაგალითად, ვეზირი ჯაფარ იბნ ალ-ფადლი, ცნობილი, როგორც იბნ ჰანზაბა, ათვინიერებდა მწერებს და გველებს, მათზე დაკვირვებისა და მათი შესწავლის მიზნით. მას საკუთარ სახლში ჰქონდა უზარმაზარი დარბაზი, რომელიც ნაგები იყო მარმარილოსგან და მასში ჰქონდა უამრავი კალათა, რომლითაც ინახავდა გველებს. მას დადგენილი ხელფასის სანაცვლოდ ემსახურებოდნენ გველების მომთვინიერებლები. როგორც ჩანს, იბნ ჰანზაბა განსაზღვრულ დღეებში ჯდებოდა ხოლმე სავარძელზე, რომელიც იდგა შემაღლებულ ადგილას. მასთან შედიოდა მისი მოსამსახურე პერსონალი, გველების მომთვინიერებლები და თან მიჰქონდათ კალათები. მათ გამოჰყავდათ კალათებიდან გველები და აწყობდნენ წარმოდგენებს, რომლითაც იბნ ჰანზაბა ძალიან ერთობოდა და ეს სანახაობა მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა [რამადანი 2008 : 97]. ალ-მაკრიზი იხსენებს, რომ გველების მომთვინიერებლები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, რაც შეეძლოთ დიდი ზომისა და უნიკალური გველები მოენადირებინათ. ხოლო იბნ ჰანზაბი არ იშურებდა ფულსა და ჯილდოს, რათა აემაღლებინა მათი მონდომება და ენთუზიაზმი [რამადანი 2008 : 97]; აზარტული თამაშები – მიუხედავად იმისა, რომ აზარტული თამაშები იკრძალებოდა ისლამის მიერ, ისინი მაინც

მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმ პერიოდის ეგვიპტელების გასართობ საშუალებებს შორის. აზარტული თამაშები იმდენად იყო მომრავლებული, რომ ამირები ხშირად უბრძანებდნენ კიდეც თავიანთ რაზმს სათამაშო ადგილების დანგრევას და მოთამაშეების დაჭერას [რამადანი 2008 : 100]; ცხენების დოღი – ეს იყო ჯაჰილიის პერიოდის არაბების გასართობი საშუალება, რომელიც არაბთა დაპყრობის შემდგე ეგვიპტეშიც გავრცელდა. ცხენების დოღი ერთ-ერთ მდიდრულ, გამორჩეულ და საამაყო მოვლენად ითვლებოდა, რომლის განმალობაშიც მაყურებლები დებდნენ ფსონებს თავიანთ რჩეულ ცხენზე. გამარჯვებული ცხენი ინიშნებოდა სპეციალური ნიშნით, რათა მარტივად გაერჩიათ ის სხვა ცხენებისგან. მათი ადათების მიხედვით კი, ბოლო ადგილზე გასულ ცხენზე სვამდნენ მაიმუნს, რომელსაც აძლევდნენ უნაგირს. მაიმუნი მიაჭენებდა ცხენს და ამით არცხვენდნენ ბოლო ადგილზე გასული ცხენის მეპატრონეს [რამადანი 2008 : 100]. არაბული წყაროები გადმოგვცემენ ინფორმაციას ცხენების პირველი დოღის შესახებ, რომელიც ჩატარდა ეგვიპტეში. ამ მოვლენის თარიღი ‘ამრ იბნ ალ-‘ასის ეგვიპტეში მოღვაწეობას უკავშირდება. იბნ ტულუნიც დიდად იყო დაინტერესებული დოღით და ზრუნავდა იპოდრომებზე. მან ააშენა სპეციალური ადგილი ცხენების გამოფენისთვის. იპოდრომები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ტულუნიდების დინასტიის მმართველობის დროსაც. ალ-მაკრიზი ამბობს, რომ ეწყობოდა სპეციალური დღესასწაულები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა მამაკაცები, ჯარისკაცები. მოსახლეობა ისევე იკრიბებოდა ამ ყოველივეს სანახავად, როგორც იკრიბებოდნენ ნებისმიერი სხვა დღესასწაულის დროს [რამადანი 2008 : 101]. ამ ყველაფრიდან ვიგებთ, რომ, მიუხედავად ისლამის მიერ ფსონებისა და აზარტული თამაშების აკრძალვისა, დოღის დროს ცხენებზე ფსონის დადება მაინც იყო გავრცელებული ეგვიპტეში [რამადანი 2008 : 101].

ცალკე უნდა განვიხილოთ ასევე კულტურული და სამეცნიერო გავლენები. არაბთა მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე ეგვიპტეში გავრცელებული იყო კოპტური, ბიზანტიური და სასანიდური ხელოვნება და კულტურა. არაბებმა ადგილობრივებისგან შეისწავლეს ფერწერის ტექნიკა, კერამიკული ნივთების მხატვრობა და გაფორმება, ასევე მინისა და ლითონის ნაწარმის დამუშავება.

არაბეთის ნახევარკუნძული იყო ისლამის აკვანი, არაბები კი ცხოვრობდნენ თითქმის სრული იზოლაციით. თუმცა მას შემდეგ, რაც სუნიტმა ომაიანებმა, ისლამის პირველი დინასტიის დამფუძნებლებმა, გადაწყვიტეს დედაქალაქის გადატანა მედინიდან დამასკოში, მათთვის

შესაძლებელი გახდა ბიზანტიური ცხოვრების წესის, იდეოლოგიისა და კულტურის გაცნობა, რომელიც გავრცელებული იყო სირიის რეგიონში, ასევე სასანიდური კულტურისა, რომელიც მომდინარეობდა ირანიდან და მესოპოტამიიდან. მინის ნაწარმის წარმოება მიუთითებდა ბიზანტიური ტექნიკის გამოყენებაზე, ხოლო ლითონის იარაღის დამზადება მიუთითებდა სასანიდური ტექნიკის გამოყენებაზე. სპილოს ძვლისა და ხის დამუშავება მიუთითებდა ამ კულტურათა სინთეზზე.

არაბთა მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე მისი კულტურული და ცივილიზაციის ცენტრი იყო ალექსანდრია. დაპყრობის შემდგომ კი ინტელექტუალური მოძრაობა გადმოვიდა ალექსანდრიიდან ელ–ფუსტატში, რომელიც არაბთა დედაქალაქად გადაიქცა. არაბთა დაპყრობებმა კულტურასა და ტრადიციებთან ერთად თავისი კვალი დაამჩნია სამეცნიერო და ინტელექტუალურ მიმდინარეობებს [რამადანი 2008 : 115].

მიუხედავად იმისა, რომ არაბთა დაპყრობის შემდეგ ბევრმა ბიზანტიელმა მეცნიერმა დატოვა ეგვიპტე, მასში არასდროს შეწყვეტილა ბერძნულენოვანი სამეცნიერო ცხოვრება [რამადანი 2008 : 115]. თუმცა ისლამის გავრცელების პირველ და მეორე საუკუნეებში ჩრდილში მოექცა ალექსანდრია. კულტურული და სამეცნიერო ცენტრის ალექსანრიიდან ელ–ფუსტატში გადატანას მოჰყვა ბერძნული ქრისტიანული ცივილიზაციის ჩანაცვლება ისლამური ცივილიზაციით [რამადანი 2008 : 115]. ეგვიპტეში იყო ისლამური კულტურისა და ცივილიზაციის კერები: მეჩეთები, მეცნიერთა, ვეზირთა და ამირების შეკრებების და საზოგადო ადგილები [რამადანი 2008 : 116]. როგორც ალ-მაკრიზი ამბობს, ჰიჯრით V, ქრისტეშობით კი XI საუკუნეში ეგვიპტეში არ არსებობდა სკოლის ცნება, აქედან გამომდინარე, მეჩეთი ითვისებდა საგანმანათლებლო ფუნქციასაც, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სწავლობდნენ ისლამურ მოძღვრებას. მეჩეთი ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელსაც სკოლად აღიარებდნენ მუსლიმები. გარდა იმისა, რომ ის იყო ალაჰის სახლზე და მასში იკითხებოდა ყურანი და ლოცვები, ის ითავსებდა სასამართლო ფუნქციასაც. ის სამთავრობო შენობასაც წარმოადგენდა, რომელშიც ხდებოდა ელჩებისა და დიპლომატების მიღება [რამადანი 2008 : 120]. მეცნიერთა, ვეზირთა და ამირების მეჯლისები წარმოადგენდა შეკრებებს, რომლის განმავლობაშიც იმართებოდა სამეცნიერო სემინარები [რამადანი 2008 : 120]. რაც შეეხება საზოგადო ადგილებს, გამორჩეული ადგილი ეჭირა წიგნების ბაზრებს, რომლებიც არ იყო მხოლოდ წიგნების აკინძვისა და გაყიდვის ადგილი, არამედ წარმოადგენდა ლიტერატურის და მეცნიერების წყაროს ეგვიპტელებისთვის. არაბთა დაპყრობის

შემდგომ მიმდინარეობდა სამეცნიერო მუშაობა, მთარგმნელობითი საქმიანობა [რამადანი 2008 : 120]. მთარგმნელობითი საქმიანობა არ მიმდინარეობდა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ მთლიანი ისლამური სახელმწიფოს ფარგლებში. რაც შეეხება საერო მეცნიერებებსა და ფილოსოფიას, ამ საკითხებისადმი დიდ ყურადღებას იჩენდნენ მუსლიმები [რამადანი 2008 : 120]. ეს უფრო მომდევნო ეტაპზე დაიწყო და გულისხმობდა რელიგიურთან ერთად სხვა მეცნიერებებითა და ფილოსოფიით დაინტერესებას. ამ ყველაფერს დაემატა ახალი სწავლებები და დაინტერესება მათემატიკით, ასტრონომიით, ქიმიით, მედიცინითა და ლოგიკით [რამადანი 2008 : 121]. ეგვიპტეში მეცნიერების აყვავებას ბიძგი მისცა ასევე ხალიფებისა და მმართველების მიერ მეცნიერების წახალისებამ. ომაიანთა მმართველებმა კარი გაუღეს პოეტებსა და ორატორებს და არ იშურებდნენ მათთვის ფულად ჯილდოსაც. ამ მხრივ გამოირჩეოდა ხალიფა იბნ მარვანი, რომელსაც უყვარდა პოეზია, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც მის ქებასა და დიდებას ემსახურებოდა [რამადანი 2008 : 121]. ეგვიპტეში კულტურულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე მრავალი საუკუნის განმავლობაში აქტიურად მოღვაწეოდბნენ კოპტები, რამაც საბოლოო ჯამში დიდი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ეგვიპტის კულტურაზე, არამედ მთელ არაბულ სამყაროზეც.

დასკვნა

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. კოპტური მონოფიზიტური ეკლესია, თეოლოგიური და ზოგადი კულტურული თვალსაზრისით, ერთ–ერთი მძლეავრი კერა იყო არაქალკედონიტურ სამყაროში;
2. იმის გამო, რომ ეგვიპტე წმინდა ოჯახის თავშესაფრად იქცა, ქრისტიანები მას განსაკუთრებულ ქვეყანად მიიჩნევდნენ, მსგავსად პალესტინისა;
3. ეგვიპტეში ისლამის გავრცელებასთან ერთად ქრისტიანულმა კოპტურმა და ისლამურმა არაბულმა ტრადიციებმა ურთიერთზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ რელიგიურ სფეროში, არამედ ხელოვნებაში, ასევე სხვადასხვა სფეროში, სამოქალაქოში თუ სამხედროში, მაგალითად, ცნობილია კოპტების დამსახურება ფლოტის მშენებლობაში;
4. მუსლიმი მმართველები ზოგიერთ შემთხვევაში ავიწროვებდნენ კოპტებს, მაგრამ ზოგადად უნდა იქთვას, რომ მათთან, როგორც „წიგნის ხალხთან“ და ასევე ადგილობრივი მდგომარეობის საუკეთესო მცოდნეებთან, მაინც უფრო მეტად თანამშრომლობდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. يعقوب نخلة روفيله، تاريخ الامة القبطية، مطبعة متروبول (الطبعة الثانية) 1898
2. لؤي محمود - احمد منصور، الاقباط في المجتمع المصري قبل و بعد الفتح الاسلامي، ابحاث المؤتمر الدولي الاول للدراسات القبطية، مركز دراسات الخطوط - مكتبة الاسكندرية، 1997
3. المجتمع في مصر الاسلامية من الفتح العربي إلي العصر الفاطمي - الجزء الأول، هوايد عبد العظيم رمضان، 2008
4. Emmel S., Ägypten und Nubien in spätantiker und christlicher Zeit: Akten des 6. Internationalen Koptologenkongresses Münster, 1996, Herausgeber Stephen Emmel, Reichert Verlag Weisbaden, 2000 (1138 pp.).
5. Kamil J., Christianity in the Land of the Pharaohs, the Coptic Orthodox Church, The American University in Cairo Press, 2002 (311 pp.).
6. Papaconstantinou A., Historiography and the Making of the Coptic "Church of the Martyrs" in Early Islamic Egypt, Dumbarton Oaks Papers, Vol. 60, Trustees for Harvard University, 2006 (pp. 65-86).
7. Peltomaa L. M., Küldzer A. and Allen P., Presbeia Theothokou: The Intercessory Role of Mary across Times and Places in Byzantium (4th-9th Century), Published by Austrian Academy of Sciences Press, 2015 (271 pp.).
8. Rubin M., Mary, History Workshop Journal, No 58, Published by Oxford University Press, 2004 (16 pp.).
9. Samaha J. M., The Virgin Mary in Eastern Christian Tradition, Published by The Maronite Voice, Volume IX, Issue No. V, 2013 (10 pp.).
10. Sellew Ph., The Early Coptic Witness to the Dormitio Mariae at Yale, Published by American Society of Papyrologists, 2019 (pp. 1-23.).
11. Toma W., Rev., Typology of Mary in the Writings of East Syriac Fathers, Website of Assyrian Catholic Church, English article published in 2018.